# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 15 მაისი. 2023 წ. №54 (9586) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## თავისუფლებით დაწყევლილნი

EU



ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია

# ევროპის მზის ჩასვენება

1920 წელს გამოქვეყნდა დიდი გერმანელი მოაზროვნისა და ისტორიული პროცესების ანალიტიკოსის ოსვალდ შპენგლერის ნაშრომი „ევროპის მზის ჩასვენება“ (ქართულად მას „ევროპის დაისი“ ჰქვია!). ეს წიგნი ერთ წელიწადში მსოფლიოს ოცდაათამდე ქვეყანაში გამოქვეყნდა. მე ის რუსულ ენაზე მაქვს წაკითხული და მას რუსულად „Закат эвропи“ ჰქვია, რაც ქართულად, სწორედ, ევროპის მზის ჩასვენებას ნიშნავს. „დაისი“ რაღაცნაირად რომანტიკული შეფერილობის სიტყვაა და არა მგონია, ევროპის რეალობას შეესაბამებოდეს.

„ევროპის მზის ჩასვენებაში“ შპენგლერი, უპირველესად კულტურულ დეგრადაციას გულისხმობდა, რაც ათეისტური თეორიებისა და განწყობების გაძლიერებით გამოიხატა. ნიცშეს იმ „მიგნებას“, რომ ღმერთი გარდაიცვალა, ბევრი ევროპელი დაეთანხმა, სრულიად ბუნებრივი გახდა უზნეობის ის ღვარცოფი, რამაც იმდროინდელ ე.წ. დასავლეთს გადაუარა: ეროვნულ ნიჰილიზმსა და კოსმოპოლიტიზმს პროგრესულობა დაერქვა, ბოზობის თავისუფლებას ქალთა ემანსიპაცია (კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი), ღვთის რწმენას – ოპიუმი, შვილთა მშობლებისადმი პატივისცემით აღზრდას – ბავშვებზე ძალადობა და ა. შ. ყოველივე ეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემაგოგიური ლოზუნგით – „თავისუფლება!“ – ინერგებოდა. საზოგადოებაში ამგვარმა განწყობებმა და იდეოლოგიის პროპაგანდამ ევროპული კულტურა, დიდწილად, ანტიკულტურად გარდაქმნა.

იხ. 6-7 გვ.

## თვითგადარჩენის გზით!..


იხ. 4 გვ.

# რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ!

ახლა ბურთი და მოედანი დასავლეთის მხარეზეა და მათ უნდა გადაასწრონ რბილი ძალის დემონსტრირებაში პუტინს...

## სიკეთე სიკეთეს თესავს!

# ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა ზეცაშია გადაწყვეტილი...


იხ. 9 გვ.

# გეშინოდეთ დაბოლილი ბირჩი ჯაფარიძის ლაშქრის!..

ტრენინგები რევოლუციის მომზადების ნაწილია!..


იხ. 5 გვ.



გია აბაშიძე: უმგავსობა იყო, როცა მქარცველი კვერაშვილის ტელევიზიით „ევროპელი სოციალისტების“ ვიცე-პრეზიდენტმა ნოტაციები უკითხა საქართველოს საზოგადოებას

იხ. 2-3 გვ.

# მჩაგვრელს ათმაგად მივუზღავთ!

# ხუთჯვრიანი დროშა უემბლის სტადიონზე?!

საქართველო-ინგლისის საფეხბურთო მატჩის მოლოდინში...


იხ. 8 გვ.

## ვიქტორ ორბანი:

თუ ევრო-კავშირი საკუთარ მისიას ვერ ასრულებს, მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას?

9

## ირაკლი კობახიძე:

სალომე ზურაბიშვილი თავიდან ბოლომდე რადიკალური ოპოზიციის ნარატივზეა გადასული!

2



### ირაკლი კობახიძე:

# სალომე ზურაბიშვილი თავიდან ბოლომდე რადიკალური ოპოზიციის ნარატივზეა გადასული!

**დღეისთვის 19 აპრილის შეთანხმება არის ანულირებული და ჩვენ არ გვაქვს არავითარი ვალდებულება, ირაციონალური რეგულაციები დავტოვოთ საარჩევნო კოდექსში,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ცესკო-სთან დაკავშირებულ კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, დადგინდება რაციონალური, სწორი რეგულაცია, რომელიც თავიდან ბოლომდე შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და სწორედ ეს არის ცვლილების მიზანი.

**„არსებული წესი იყო აბსოლუტურად ირაციონალური და უპრეცედენტო. მსოფლიოში ვერ მეტყვით ვერც ერთ ქვეყანას, სადაც ანალოგიური წესი შეიძლება იყოს დადგენილი, არ არსებობს უბრალოდ ასეთი ქვეყანა. ეს წესი დადგინდა ე.წ. 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, ეს იყო ოპოზიციის, „ენჯეოების" მოთხოვნა და ეს იყო უპრეცედენტო, ირაციონალური წესი, რომელიც ჩვენ შევიტანეთ საარჩევნო კოდექსში სწორედ 19 აპრილის შეთანხმებიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, დღეისთვის19 აპრილის შეთანხმება არის ანულირებული.**

**აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს არავითარი ვალდებულება, რომ ირაციონალური რეგულაციები დავტოვოთ საარჩევნო კოდექსში. შესაბამისად, დადგინდება რაციონალური, სწორი რეგულაცია, რომელიც თავიდან ბოლომდე შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, ეს არის ამ ცვლილების ერთადერთი მიზანი",** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებას, რომ ცესკო-სთან დაკავშირებულ კანონპროექტს, მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, კობახიძე ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილი თავიდან ბოლომდე რადიკალური ოპოზიციის ნარატივზეა გადასული.

**„აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვიკვირს მისი ასეთი განცხადება. თუ დაადებს ვეტოს, ამ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეტოს დავძლევთ"...**

## სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით დოკუმენტი გადაისინჯება და ჩამოყალიბდება საბოლოო რედაქცია

**სასამართლოს ნაწილშიც 12-დან ერთ-ერთი პუნქტი სათანადოდ იქნება შესრულებული,** – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მმართველი გუნდი პირნათლად ასრულებს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ 12-პუნქტიან რეკომენდაციებს. რაც შეეხება უშუალოდ სასამართლო რეფორმის ნაწილს, კობახიძის განცხადებით, გათვალისწინებული იქნება ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და საბოლოო რედაქცია მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდება.

## გიორგი ტაბატაძე: ქართველი ...ლეა, გინდა ლიბერალი იყოს და გინდა – კონსერვატორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი **გიორგი ტაბატაძე** სოციალურ ქსელში უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და იტალიის პრემიერ-მინისტრ ჯორჯია მელონის შეხვედრის ფოტოს აქვეყნებს.

**„მარცხნივ ქართველი კონსერვატორების მიერ ფაშისტად შერაცხილი და მარჯვნივ ქართველი ლიბერალების მიერ ფაშისტად შერაცხილი ადამიანები – ღირსება და სინდისი... ყველა მსჯელობას, რომის არ იყოს, მივყავართ იქამდე, რომ ქართველი ...ლეა, გინდა ლიბერალი იყოს და გინდა – კონსერვატორი",** – წერს გიორგი ტაბატაძე FACEBOOK-ზე.



### სააკაშვილი ციხეში გადაყვანამდე „ვივამედში" რჩება!

# ისევ გაბითურდი, სნეულო მიხეილ?!

**სტრასბურგის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ უარი უთხრა მიხეილ სააკაშვილს ვარშავაში გადაყვანაზე და სახელმწიფოს არ დაავალა ქვეყნის შიგნით მისი სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელოვნურად გაუარესების მოტივით, თავისუფლების მოპოვების კამპანიის ფარგლებში, სამართლებრივი დავა საქართველოში სააკაშვილისთვის არასასურველი შედეგით დასრულდა. ამის შემდეგ, მისმა ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს და დროებით ღონისძიებად მიხეილ სააკაშვილის ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანა მოითხოვეს, თუმცა სტრასბურგიდანაც უარი მიიღეს.**

იუსტიციის მინისტრი მოუწოდებს სააკაშვილსა და მის გარემოცვას, მაქსიმალურად იზრუნონ, რომ პატიმარი დაემორჩილოს მკურნალობას, ექიმებს, მიაწოდონ საკვები იმ კალორაჟით, რასაც ეუბნებიან ექიმები. **რატი ბრეგაძის** თქმით, სააკაშვილის ჯანმრთელობის ამგვარ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი არიან ადამიანები, რომლებიც აქეზებენ და უქმნიან ცრუ მოლოდინებს, თითქოს ჯანმრთელობის ხელოვნურად გაუარესებით, იგი თავისუფლებას მოიპოვებს.

გადაწყვეტილებას სოციალური ქსელით გამოეხმაურა **მიხეილ სააკაშვილი** და აცხადებს, რომ სტრასბურგში იურიდიული პროცესი გრძელდება და შესაბამისად, მისი ბრძოლა სიცოცხლისთვის, საქართველოსთვის, უკრაინისთვის გრძელდება.

მსჯავრდებულის ადვოკატი აცხადებს, რომ ეს პროცედურული ნაწილია და ევროსასამართლო საჩივარს არსებითად განიხილავს. **შოთა თუთბერიძის** განმარტებით, იუსტიციის სამინისტრომ და ხელისუფლებამ ბუნდოვანება შექმნა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილს უარი ეთქვა ვარშავაში გადაყვანაზე, ამავდროულად, სახელმწიფოს არ დაევალა მისი ქვეყნის შიგნით სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

გადაწყვეტილების მიუხედავად სააკაშვილის, გვარამიას და ახლა უკვე ლაზარეს თავისუფლებისთვის აპირებს ბრძოლას **ლევან ხაბეიშვილი,** რომლის განცხადებით, ერთადერთი, რაზეც სტრასბურგმა იმსჯელა, ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე იყო მხოლოდ ვარშავაში გადაყვანის საკითხი.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ამყარებს სააკაშვილის ციხეში გადაყვანის მოტივს, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ხელისუფლება პატიმრის ეტაპირებას არ იჩქარებს.

**„საჩივარი სააკაშვილის მხარემ შეიტანა, ენდობოდა, მაგრამ ვნახეთ, რომ სტრასბურგიც უფრთხილდება თავის ავტორიტეტს და ცდილობს პატიმრის ნიავქარს არ აყვეს. ვიცით, რომ ლობისტების ჯგუფი მუშაობს, მაგრამ სტრასბურგზე გავლენა ვერ იქონია, თორემ დასკვნა სხვანაირი იქნებოდა. სტრასბურგი ცდილობს, რომ ლობიზმს არ დაექვემდებაროს. სიმართლე ხელისუფლების მხარეს არის და ეს ჩანდა იმაში, რომ უკან არ იხევდა, აცხადებდა, რომ ჩამოიყვანეთ ექიმები, გააკეთეთ დიაგნოსტიკა და ა.შ. როდესაც რომელიღაცა მხარე ყველაფერზე მიდის და არ ეშინია შეფასებების, ე.ი. გრძნობს, რომ სიმართლე მის მხარეს არის. თავი რომ დავანებოთ იმას, შეიძლება თუ არა სააკაშვილი იყოს მოწამლული და ა.შ. მისი მოწამვლა ამ შემთხვევაშიც არავის სჭირდება. კი, იძახიან, რომ ხელისუფლება წამლავსო, მაგრამ თუ ვინმეს არ უნდა სააკაშვილის მოწამვლა და ცუდად ყოფნა, ეს არის ხელისუფლება, იმიტომ, რომ მის კისერზე გადაივლის სააკაშვილის მდგომარეობის დამძიმება და ამიტომ, ძალიან ბევრი ხაზი სავარაუდოს ხდიდა, რომ სტრასბურგიდან მივიღებდით იმ გადაწყვეტილებას, რაც მივიღეთ",** – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# მჩაგვრელს ათმაგად მივუზღავთ!

## გია აბაშიძე: უმგავსობა იყო, როცა მძარცველი კეზერაშვილის ტელევიზიით „ევროპელი სოციალისტების" ვიცე-პრეზიდენტმა ნოტაციები უკითხა საქართველოს საზოგადოებას



**ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდა, ათმაგად მივუზღავთ", – ამ სიტყვებით გამოეხმაურა პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების" მიერ „ევროპელი სოციალისტების პარტიის" დატოვებას. პრემიერმა აღნიშნა, რომ ჩვენ გვინდა კონსერვატიული, ეროვნული, ოჯახური ფასეულობების დამცველი საქართველო და, თუ ამ ღირებულებების გამო ჩვენი არყოფნა უნდათ, კარგად იყვნენ. რას მოუტანს „ქართულ ოცნებას" ასეთი თამამი გადაწყვეტილება და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის გამო „ევროპელ სოციალისტებთან" დაშორება, ვინ გახდება ჩვენი მომავალი პარტნიორი ევროპულ ოჯახში, ამის შესახებ ანალიტიკოსი გია აბაშიძე გვესაუბრება.**

**– „ქართული ოცნების" დემარშად შეფასდა, რომ პარტიამ „ევროპელი სოციალისტების" გაერთიანება დატოვა და პარტნიორის გარეშე დარჩა ევროპარლამენტში. საინტერესოა, ხომ არ დავშორდებით ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ვინ იქნება „ოცნების" სამომავლო პარტნიორი? საუბარია ევროპარლამენტში არსებულ 7 პოლიტიკურ ჯგუფზე, მათ შორის, ავადსახსენებელ IPP-ზე, ანუ „ევროპის სახალხო პარტიაზე"**

– „ევროპელ სოციალისტებთან" „ქართული ოცნების" თანამშრომლობა ბოლო წლებში ფიქტიური იყო, უფრო სწორად, „ევროპელი სოციალისტების" მხრიდან დეკლარირებული პარტნიორის წინააღმდეგ ხორციელდებოდა არაერთ უმსგავსო განცხადებაზე ხელის მოწერა და არაერთი უსაფუძვლო ბრალდების ტირაჟირება. აქ ვგულისხმობ კრიმინალ **სააკაშვილს**, კრიმინალ **კეზერაშვილს**, კრიმინალ **გვარამიას**. ასევე, ხორციელდებოდა უსაფუძვლო ბრალდებები **ბიძინა ივანიშვილის** წინააღმდეგ. როდესაც არსებობს პოლიტიკური პარტნიორობა, ეს არის ორმხრივი მოძრაობა და არა ცალმხრივი. ამიტომ „ოცნებამ" მიიღო ძალიან სწორი გადაწყვეტილება, რადგან ხედავდა, რომ ქაღალდზე არსებული მისი პარტნიორი რეალობაში არაფერს წარმოადგენდა. **ირაკლი კობახიძემ** ხაზგასმით თქვა, რომ დააკვირდებიან და ყველასთან თანასწორ პარტნიორობას გააგრძელებენ. პრაგმატულად რომ შევხედოთ, მომავალი წლის გაზაფხულზე ევროპარლამენტში იქნება ახალი არჩევნები, შესაბამისად, იქნება პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება ევროპის საკანონმდებლო ორგანოში. საჩქარო არაფერი არ არის, მოლოდინისა და დაკვირვების რეჟიმი ახლა საუკეთესო იქნება „ქართული ოცნებისთვის". ის, რომ არარსებულ პარტნიორთან დეკლარირებულად გაწყვიტა კავშირი „ქართულმა ოცნებამ", ეს ევროინტეგრაციისთვის არაფერს არ ნიშნავს, თუმცა მავანნი ცდილობენ ხოლმე, 12-პუნქტიან რეკომენდაციას ნებისმიერი სახით რაღაც დაბრკოლება მიაკერონ, რაც დაუშვებელია. ჩვეულებრივ გაგრძელდება 12 რეკომენ-



1660 წლის აჯანყების შედეგად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა.

# ან სატირალი რა არის, ან-სასაცილო?..

**ხშირად მიფიქრია, ამ ჩვენეულ აჯაფსანდალში, მართლაცდა რამ გამოგვატარა ეს ერთი მუჭა ხალხი ისტორიის უმოწყალო მოსახვევებში? თავდადებულმა ბრძოლამ? ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ არა მხოლოდ ხმლის ქნევამ. არა! გვქონდა ეროვნულ ხასიათში რაღაც ისეთი, გამორჩეული, რაც ნათლის სვეტად გვედგა და გვადგას. ეს უთუოდ არის თვისტომის ჭირის გათავისება, მისი შეურაცხყოფის საკუთარი ღირსების ხელყოფად მიჩნევა.**

ეს თვისება დღეს, როცა ერი ლამის გათითოკაცებულია, ბევრი აქამდე უცხო რამ გასჩენია საფიქრალად, ვინმეს შეიძლება დაკარგულად მოეჩვენოს და არ დამეთანხმოს. მაგრამ ეს ასე არ არის. დასტურად ამ ათიოდ წლის წინათ მომხდარი ამბავი შემიძლია მოვიყვანო, როცა ციხეებში ხელისუფლების მიერ პატიმართა გაუპატიურება გახმაურდა, მთელი ქვეყანა ყალყზე შედგა და სააკაშვილის ანტიხალხური რეჟიმი აღგავა არჩევნების საშუალებით... არადა, ჩვენს ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა სულაც ერთი რიგითი კაცის გამოსასარჩლებლად მთელმა სამეფომ იშიშვლა ხმალი:

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის კახეთს დიდი საფრთხე დაემუქრა. ირანის შაჰმა შაჰ-აბას მეორემ გააცოცხლა წინამორბედის შაჰ-აბას პირველის ძველი გეგმა, რომელიც კახეთის მოთხრას – იქ თურქმანების 15 ათასი ოჯახის ჩასახლებას, შიდა და გარე კახეთის საუკეთესო მიწების მათთვის გადაცემას ითვალისწინებდა, რათა ეს მომთაბარე-მეჯოგე ხალხი „ხვნა-თესვას, შენებას შესდგომოდა“. სპარსელებს სახსრები და მონდომება არ დაუზოგავთ. ააგეს ახალი ციხეები, მათ შორის ბახტრიონისა. კახეთი ორად გაყვეს, მისი დიდი ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს, ხოლო დანარჩენი ნახიჩევანის მმართველს გადაეცა. მათ ელებს – თურქმანული ტომის კახეთში გადაყვანა დაევალათ. ამ დიდი ღონისძიებების შედეგად კახეთის ბარში 80 ათასი თურქმანი ჩაასახლეს.

მომთაბარე ელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და ვრცელი საძოვრები სჭირდებოდათ. კახეთის კულტურულ მეურნეობას, ძირითადად მევენახეობას, გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობაც, რომელიც ბარის პურითა და ღვინით, ბარის საზამთრო საძოვრებით ირჩენდა თავს. ამას ემატებოდა ყიზილბაშ მეციხოვნეთა სისასტიკე და თავგასულობა. მათი ასეთი ქცევის საზიზღარ მაგალითს გვაცნობს ვახუშტი ბატონიშვილი, რაც კახეთის აჯანყების ერთ-ერთ აღმძრავ ღვედად იქცა.

მოვუსმინოთ ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსსა და გეოგრაფს.

**„...მაშინ მგზავრი ვინმე, ერთი კახი ხუცესი, მარტო მივიდოდა გზასა თვისსა. ხოლო შეემთხვა გზაზედა მღვდელსა თათარნი რაოდენიმე და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი... შეკრეს მძლავრობითა და შეამთხვიეს ხუცესს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომურ, და განუტევეს. და წავიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს, სადა ისხდნენ ზაალ ერისთავი და ცოლი მისი. დაუჩოქა ხუცესმა და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო. გააოხრეს სრულიად კახეთი ურჯულოთა აგარიანთა და მე გზაზე შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი და ხელშეკრულ განმხრწნეს და ყვეს ჩემ ზედა სათქმელადაც უშვერი. და აწ მისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინაიდგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი.“ ხოლო რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა.“**

არაგვის ერისთავმა სრულად გაისიგრძეგანა, რომ ამ სათქმელადაც უშვერი შეურაცხყოფის გამო ღმერთისთვისაც და კაცთათვისაც მას უნდა გაეცა პასუხი.

არც გაქცევია პასუხისმგებლობას.

ქვეყანა დენთის კასრზე იყო შემდგარი და ნაპერწკალიც გაჩნდა...იფეთქა სრულიად კახეთის აჯანყებამ. ხელმძღვანელობა ზაალ ერისთავმა ითავა, თუმცა, ბრძოლებში აშკარა მონაწილეობა არ მიუღია, თავისი ვაჟი ზურაბი უსარდლა არაგველ მხედრებს. უშუალო ხელმძღვანელები და ორგანიზატორები იყვნენ კახი თავადი ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი, ქსნის ერისთავი შალვა და მისი ძმა ელიზბარი, თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარაული, ფშაველი გოგოლაური.. აჯანყებას მხარი დაუჭირა ქართლმაც. აჯანყებულებმა ბახტრიონისა და ალავერდის ციხეები უმალ აიღეს, შემდეგ კი ჩასახლებულ თურქმანებს შეუტიეს. ელების ნაწილი გაიფანტა და გაქცევით უშველა თავს.

**1660 წლის აჯანყების შედეგად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა.**

**რა თქმა უნდა, მთელი ამ ამბის მთავარი საფანელი უცხო ტომელთაგან ქვეყნის გაწმენდა და შესაბამისად ეკონომიკური გათავისუფლება იყო, მაგრამ გარკვეული როლი უთუოდ შეასრულა შეურაცხყოფილი ხუცესის გამოსარჩლებამ, მისი უბედურების გათავისებამ.**

1660 წლის აჯანყება ასე ვრცლად, თანაც ცოტა არ იყოს დაგვიანებით, ერთმა მომენტმა გამახსენა.

თვალში გეცემათ, რომ კახეთმა, შედეგზე არც დაფიქრებულა ისე, ერთი კაცის ასე ერთხმად გამოსარჩლებით სასწორზე შეაგდო მთელი ქვეყანა და გაიმარჯვა. ახლა გავიხსენოთ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის აღშფოთება: ოთხ კაცს (ამერიკელთა მიერ ყოვლად დაუსაბუთებლად დასანქცირებულ ოთხ ქართველ მოსამართლეს) ქვეყანას ნუ გადავაყოლებთო! და ამით მათ გამოსარჩლებას ვეტო დაადო.

**შევადაროთ 1660 და 2023 წლების მოვლენები. კახეთის აჯანყებამ გაიმარჯვა, რადგან ერთად იყო მთაც და ბარიც, თავადიც და გლეხიც. კახეთის „რწმუნებული“ პასუხისმგებელი იყო ღვთისა და კაცის წინაშე და ეს პასუხისმგებლობა კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული და გათავისებული, განსხვავებით 363 წლის შემდგომი „სრულიად საქართველოს რწმუნებული“ პრეზიდენტისგან!!!**

არადა, ღმერთი ხომ ხედავს, რომ სწორედ ახლა გვჭირდება, თუ გვჭირდება ერთსულოვნება, ერთად დგომა და მოქმედება.

სწორედ ამის ხაზგასასმელად შეიკრიბა ამას წინათ საზოგადოების ინიციატივით რესპუბლიკის მოედანზე ე. წ. უპარტიოთა მრავალათასიანი მიტინგი, სიმბოლური სახელწოდებით „მოვდივართ“. აქცენტებით სრულიად ნორმალური, სამართლიანობით, სისუფთავით გამორჩეული შეკრება იყო, ეროვნული ინტერესებით, ქართული იდეით გამსჭვალული. მას ძალზე ბევრმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, სამაგიეროდ, ბევრიც ლანძღავდა და მიწასთან ასწორებდა. რომან გოცირიძემ, რომელსაც სხვა ოპოზიციონერებთან შედარებით რატომღაც ჭკვიან კაცად მიიჩნევენ, ასეთი რამეც კი იკადრა: **„ფაქტობრივად, მისი ნამდვილი სახელი იყო – „მივდივართ“, რადგანაც იმ აქციაზე ვიხილეთ დიდი სანაგვე““!**

იმ ჯიგრიანი კახელისა არ იყოს, ემაგ პირით პურს როგორა სჭამ, საცოდავო რომან?!

თუმცა, „კუპონა“ გოცირიძე სულაც არ არის გამონაკლისი, ვისაც „პური არ ეჭმევა“.

9 მაისს თბილისში, ორბელიანთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა „ევროპის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება ევროკავშირის პრეზიდენტის შარლ მიშელის ვიდეომიმართვის ჩართულობით და ამ მიმართვის მთავარი ლაიტმოტივი ასეთი იყო: **„საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახშია!“**

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უმაღლესი შეფასება მისცა საქართველოს დიდი მეგობრის მოსაზრებას, „რომელსაც სჯერა საქართველოს ევროპული მომავლის და მზად არის მას ყოველ ნაბიჯზე დაეხმაროს“, დანარჩენი კი „ჩვენი გასაკეთებელიაო“. ვინ ჩვენიო, უთუოდ აღეძვრებოდა შეკითხვა მსმენელს და პასუხიც მზად იყო: „ჩვენი ე.ი. საზოგდოებისა, ოღონდ ჩემი დახმარებითო“.



ჩვენს ქვეყანაში ინიციატივას თავის თავზე ხშირად იღებენ, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა. ამის მაგალითები ფუთობით გვაქვს სააკაშვილის, მელიას, ხაზეიშვილის, ხოშტარიას, ვაშაძის და სხვათა უკუდო განცხადებების სახით.



აი, ქალბატონი პრეზიდენტი კი ბოლო დროს თავის თავზე თვალში საცემად ხშირად იღებს ყველაფრის „მოყომარებას“ და საზოგადოების უკმაყოფილო ნაწილის მედროშეობას!

**„ქართულმა ოცნებამ“ ამ დღეებში პარლამენტის ბიუროს სხდომაზე წარადგინა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს საარჩევნო კოდექსსა და პარლამენტის რეგლამენტში... კანონპროექტით იზღუდება პრეზიდენტის როლი ცესკოს დაკომპლექტებაში: მის ნაცვლად საკონკურსო კომისიას შექმნის და შემდგომ კანდიდატებს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარე.**

აქ, როგორც ხედავთ, „რაც მოგივა, დავითაო“-ს პრინციპი ამოქმედდა... ეს პრინციპი კიდევ მრავალგზის შეგვახსენებს თავს ჩვენც და კრიჭაში ჩამდგარ პრეზიდენტსაც.

მაისმა, ჯერჯერობით, მცხუნვარე მზე არ მოგვიტანა, სამაგიეროდ, ჩრდილოეთიდან ერთი ისეთი ცნობა გვაახლა, რომ თავბრუ დაგვახვია, აქამდე ვერ გავრკვეულვართ, ვიცინოთ თუ ვიტიროთ: მოსკოვმა საქართველოსთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა აღადგინა, ამას გარდა, გააუქმა სავიზო რეჟიმი.

ამ ამბავთან დაკავშირებით პრეზიდენტმა უკვე გამოთქვა თავისი სავეტოო აზრი, „ქართული ოცნება“ კი მის დასაძლევად იფშვნეტს ხელებს.

**და ახლა სატირლად გვაქვს საქმე თუ საცინლად, ხვლინდელი დღე გამოაჩენს...**

**ალეკო ასლანიშვილი**



ანა ფოტიგა



ვიოლა ფონ კრამონი

დაციის შესრულება, პარამეტრებით საქართველო ისედაც მზად არის ამისთვის გასული წლის ზაფხულიდან, ახლა ბრიუსელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

**– „ევროპელი სოციალისტები“ გაუგებარ რეზოლუციებს მხარს უჭერდნენ, მათ შორის, სააკაშვილის პატიმრობასთან დაკავშირებით, რომელიც უსამართლობად ეჩვენებოდათ. თუმცა საინტერესოა, „ნაცმოძრაობა“ როგორ ახერხებს ევროპელებთან ალიანსს? მაგალითად, IPP, ანუ ევროპის სახალხო პარტია მუდამ მათ სადარაჯოზეა მაშინ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა, მათი ევროპელი პარტნიორი ბოლომდე ერთგული ყოფილიყო, ფინანსური და ინტერესებით, ლობისტებთან მუშაობით?**

– „ევროპელ სოციალისტებთან“ თანამშრომლობის გაწყვეტა ემყარება კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მიზეზს, ეს არის ღირებულებებში აცდენა. „ევროპელმა სოციალისტებმა“ უღალატეს სოციალ-დემოკრატიულ ფასეულობებს და ფსევდო ლიბერალიზმისკენ გადაუხვიეს, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა დასავლეთში მძვინვარებს. ფსევდოლიბერალური არასოდეს ყოფილა „ქართული ოცნება“ და არც იქნება. ფსევდოლიბერალური არის „ნაციონალური მოძრაობა“, მისი განშტოებები, შესაბამისად, მათ ჰყავთ თანამზრახველები როგორც „ევროპის სახალხო პარტიაში“, ასევე, სხვადასხვა ჯგუფებში. აქ მარტო ლობისტების საქმე არ არის, ეს არის გლობალური ფსევდოლიბერალების, ომის პარტიის ერთობლიობა, რომლებისთვისაც საქართველოს სუვერენიტეტის ბოლომდე დამცველი „ქართული ოცნების“ ხელისუფლება პრობლემას წარმოადგენს. არ განვიხილოთ ისე, რომ „ქართული ოცნება“ განყენებულია, ზუსტადაც ერთობლიობა როდესაც არის მმართველი პარტიის და ამომრჩევლების, ქართველი ხალხის, მაშინ არის სახელმწიფო ძლიერი სხვადასხვა საგარეო გამოწვევებთან გამკლავებაში.

**– სპეკულაციები მიმდინარეობდა, ვინ დაასწრებდა - „ქართული ოცნება“, თუ „ევროპის სოციალისტური პარტია“. შემდეგ გაირკვა, რომ „ევროპის სოციალისტური პარტია“ გეგმავდა, ისეთივე პროცესი განეხორციელებინა „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით, როგორც ბულგარეთსა და რუმინეთთან მიმართებით, რომელთაც დროებით შეუჩერეს ხმის მიცემის უფლება და მერე ისევ აღუდგინეს. მაგრამ, თუკი „ევროპელი სოციალისტები“ აცდნენ თავიანთ ღირებულებებს, ალბათ, „ოცნებისთვის“ აზრს კარგავდა მათთან ყოფნა. მით უმეტეს, ლგბტ უფლებების დაცვა „ევროპელი სოციალისტებისგან“ გაუგებარი იყო.**

– აქ ნამდვილად არის ორი მიზეზი, ეს არის ღირებულებებში აცდენა და პოლიტიკურ მემკვიდრეობაშიც დამახინჯებული პროცესი. თუმცა აქ არის კიდევ ერთი უმსგავსო ფაქტი, რის გამოც დაჩქარდა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება.

იხ. 5 გვ.

# რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ!



## ახლა ბურთი და მოედანი დასავლეთის მხარეზეა და მათ უნდა გადაასწრონ რბილი ძალის ტირაჟირებაში პუტინს...

**რუსეთის მიერ საქართველოში პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო რეჟიმის გაუქმება ის „საჩუქარი“ აღმოჩნდა, რომლის მიღება-არმიღებამ ყველაზე დიდი თავსატეხი გაუჩინა საქართველოს ხელისუფლებასაც და დასავლეთსაც. რატომ შეარჩია რუსეთმა ეს დრო, როცა უკრაინასთან ომი მიმდინარეობს, ხომ არ არის ეს მზაკვრული თამაში კრემლის მხრიდან?! ხომ არ მზადდება „გავრილოვი 2“-ის სცენარი, მით უმეტეს, რომ სერგეი გავრილოვმა ავიამიმოსვლის აღდგენის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლა საკუთარი წინაპრების საფლავების მოსანახულებლად უკვე დააანონსა? (დედის მხრიდან გავრილოვის ბაბუა გრიგოლ ლომთაძე იყო).**

**იმ ფონზე, როცა მცირერიცხოვანი საქართველოსთვის რთულია, წინააღმდეგობა გაუწიოს პუტინის ასეთ „კეთილ ნებას“, „რეკომენდაციებს რეკომენდაციებზე“ აცხობს დასავლეთი.**

ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს, შეუერთდეს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ საავიაციო სექტორში და ყურადღებით იყოს სანქციების გვერდის ავლით ნებისმიერ შესაძლო მცდელობაზე. ამასთან, ევროკავშირი შეახსენებს საქართველოს, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის უკანონო აგრესიის გამო ევროკავშირმა და რიგმა სხვა ქვეყნებმა სანქციები დაუწესეს რუსეთის ავიაციას და ფრენები არ არის დაშვებული რუსეთიდან, რუსეთში ან მისი ტერიტორიის თავზე. ევროკავშირის სანქციების გამო რუსეთის საჰაერო ფლოტის 95%-ს აღარ შეუძლია თავისი თვითმფრინავების მოდერნიზება, რაც აუცილებელია უსაფრთხოების სტანდარტების შესანარჩუნებლად.

**უნდა შეასრულოს თუ არა საქართველომ ევროკავშირის მოთხოვნა, შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ საავიაციო სექტორში სანქციებს? ხომ არ დაძაბავს ეს ურთიერთობას ოკუპანტ ქვეყანასთან?**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო პუტინმა, ეს იყო 2019 წელს დაწესებული თავისივე სანქციების მოხსნა, რაშიც საქართველოს ხელისუფლებას არანაირი როლი არ მიუძღვის. ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებართვა არ მიეცემა არც ერთ სანქცირებულ ავიაკომპანიას და არც ერთ სანქცირებულ თვითმფრინავს, ბორტს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება იქიდან გამომდინარე, რომ შეიძლება თეორიულად შეიქმნას რაღაც დროებითი ავიაკომპანია, სადაც სანქცირებული ავიახომალდები განთავსდებიან.

**„ევროკავშირის ეს მოწოდება გასაგებია, მაგრამ გაუგებარია ის, თუ სანქცირებულ ავიაგადამზიდავებს საქართველო თავის საჰაერო სივრცეში არ შემოუშვებს, მაშინ რა პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირს?! აქ არის კიდევ სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, თუ ევროკავშირი ყოყმანობს და, დამსახურების მიუხედავად, არ სურს, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, მას ყოველთვის შეუძლია ნებისმიერი მიზეზი გამოძებნოს ამისთვის, იქნება ეს გეოგრაფია, გეოპოლიტიკა, დაუსრულებელი პოლარიზაცია, რაც თავად ევროპაშიცაა, ან თუნდაც სხვა მიზეზი. ამიტომ თუ ევროკავშირი პუტინის ამ გადაწყვეტილების გამო საქართველოს ევროინტეგრაციას შეაფერხებს, გამოდის, რომ ევროკომისია დადის პუტინის გადაწყვეტილებათა მხარდამხარ, რაც წარმოუდგენელია. ხაზგასმით ვამბობთ, სანქცირებული ავიაკომპანია და სანქცირებული ბორტი საქართველოს სივრცეში ვერ შემოვა. ბარემ ევროკავშირმა ისიც თქვას, ავკრძალოთ საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, ესეც არ გამიკვირდება. აქ აშკარაა მასშტაბური ფარისევლობა, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მულტინაციონალური კომპანიები სანქციების მიუხედავად მაინც ვაჭრობენ რუსეთთან და მათ რატომღაც არ ეხებათ სანქციები, პატარა საქართველოს, რომელიც სანქციებთან დაკავშირებით ყველაფერს რუდუნებით ასრულებს, ყოველთვის უსამართლო პრეტენზიები და დამუნათება ხვდება“,** – აღნიშნა გია აბაშიძემ.

**რაც შეეხება მოსაზრებას, იქნებ, პუტინმა სწორედ იმიტომ შემოაგდო ავიამიმოსვლის აღდგენისა და სავიზო რეჟიმის გაუქმების თემა, რომ ევროკავშირის წევრობა შეეფერხდეს, გია აბაშიძე ადასტურებს, რომ ზუსტად ეს არის კრემლის მხრიდან რბილი ძალის ფორსირებული დემონსტრირება. ამით რუსეთმა დასავლეთს სიგნალი გაუგზავნა, თუ თქვენ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ აძლევთ საქართველოს, თუ ამერიკა არ აწესებს უვიზო მიმოსვლას საქართველოს მოქალაქეებისთვის, არ აფორმებს თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას საქართველოსთან, აგერ არის ე.წ. მეგობარი და გუნებრივი მეზობელი, რომელსაც ამ ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ თანამედროვე რეალურ პოლიტიკაში რბილი ძალის დემონსტრირება დასწრებასა და გადასწრებაზეა, ახლა ბურთი და მოედანი დასავლეთის მხარეზეა და მათ უნდა გადაასწრონ რბილი ძალის ტირაჟირებაში აგრესორ პუტინს.**

* * *

პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** დადებითად აფასებს ავიახაზების აღდგენას და სავიზო რეჟიმის გაუქმებას რუსეთთან, რადგან მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულეა რუსეთში, რომელიც გზავნილებს აგზავნის საქართველოში. ეს ადამიანები სომხეთის, აზერბაიჯანის გავლით შემოდიან საქართველოში და პროდუქციაც სომხეთ-აზერბაიჯანის გზით გაედინება და საქართველო კარგავს ამ მოგებას.

**„რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებს თუ შევაფასებთ, ემბარგოსა და სანქციების პირობებში მათ შორის ტვირთბრუნვა მატულობს. რას ნიშნავს ეს, რომ ევროკავშირისთვის სანქციების ფონზე შეიძლება რუსეთთან ურთიერთობა, ხოლო ჩვენგან სანქციების დაწესებას ითხოვენ?! ეს სანქციები ხომ ჰარაკირის ტოლფასი იქნებოდა საქართველოსთვის. საქართველოს ხელისუფლებამ გააანალიზა, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ემბარგოს დაწესებას, რაც, პირველ რიგში, საქართველოს დააზიანებდა. ამიტომ ახლაც ევროკავშირის მოთხოვნა რომ შევასრულოთ და ფრენების აკრძალვას შევუერთდეთ, ეს ისევ ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევს რუსეთთან. ჩემი აზრით, დიდი ხანია, იმის დრო მოვიდა, ურთიერთობა რუსეთთან დალაგდეს, რადგან თვითგადარჩენის რეჟიმშია ყველა სახელმწიფო. ნახეთ, უკრაინას ხანგრძლივი ომი აქვს რუსეთთან, უამრავი ადამიანი იღუპება, ჩვენ რაღაცნაირად კონსტრუქციული დიალოგისკენ უნდა წავიდეთ და არ დავძაბოთ სიტუაცია“,** – აცხადებს თამარ კიკნაძე for.ge-სთან საუბარში.

პოლიტოლოგის აზრით, ევროკავშირის ამ კონკრეტულ რეკომენდაციას შევასრულებთ თუ არა რუსეთთან მიმართებით და დავუწესებთ თუ არა რუსეთს სანქციებს საავიაციო სექტორში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ევროკავშირი ყოველთვის მოქმედებს პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. ევროკავშირის სტატუსს ან მოგვცემენ ან არა, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აძლევს საქართველოს, ერთადერთი, ეს იმის აღიარებაა, რომ ჩვენ ევროინტეგრაციის გზაზე ვართ. ისედაც მილიონჯერაა ეს დეკლარირებული. გაცილებით უფრო მეტად იმსახურებს საქართველო ამ სტატუსს, ვიდრე უკრაინა და დსთ-ს წევრი მოლდოვა.

**მანანა ნოზაძე**

# პუტინის გადაწყვეტილებების ფონზე სოხუმში „საგარეო და სავიზო პოლიტიკის სასწრაფოდ გადახედვის“ აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ 10 მაისს საქართველოსთან სავიზო რეჟიმისა და პირდაპირი ფრენების აკრძალვის გაუქმებას აფხაზურ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში აქტიურად გამოითქმის სხვადასხვა ვარაუდები იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება, იქონიოს ამან სოხუმზე. ამაზე მსჯელობენ საექსპერტო წრეებშიც.**

ეკონომისტი ახრა არისთავა დარწმუნებულია, რომ პუტინის 10 მაისის გადაწყვეტილებები წმინდად პოლიტიკურია და შედეგები ექნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის.

**„რუსეთის პრეზიდენტის ეს ბრძანებულებები უპირველესად, სწორედ პოლიტიკური ხასიათისაა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, ეს აისახება მთელს რეგიონზე – არა მარტო საქართველოზე და ექნება გრძელვადიანი შედეგები“,** – განაცხადა არისთავამ „ეხო კავკაზასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთს, ანალიტიკოსის აზრით, პუტინის გადაწყვეტილებები მასზე ასახვას როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით ჰპოვებს. ეკონომიკურ შედეგებზე საუბრისას არისთავა იხსენებს, რომ „გასულ კვირას თურქეთმა რუსეთს ავიამიმოსვლის გაშვიდმაგება სთხოვა“.

**„საქმე გვაქვს რუსი კლიენტისთვის ბრძოლაზე და ნაკლებ სავარაუდოა, აფხაზეთმა ტურისტული ნაკადის ზრდის ტემპის შენარჩუნება შეძლოს. ბოლო წლებში საქართველოში ტურისტული ნაკადის მრავალჯერადი ზრდა ფიქსირდებოდა, ფრენების აღდგენასთან ერთად კი ის კიდევ უფრო გაიზრდება. უვიზო მიმოსვლა, სერვისის მაღალი დონე, სწრაფი და კომფორტული ავიამიმოსვლა, ბიზნესის დაკრედიტების შესაძლებლობები და შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი, – ყველა ამ საკითხში აფხაზეთი სერიოზულად ჩამორჩება საქართველოსა და თურქეთს. შედეგად უფრო შეძლებული ტურისტები ამ ქვეყნებისკენ აიღებენ გეზს და აფხაზეთი მათთან კონკურირებას ვერ შეძლებს. შესაბამისად, ცალსახად შეიძლება, ითქვას, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებებს ჩვენთვის ეკონომიკური კუთხით ნეგატიური შედეგები ექნება“,** – აღნიშნა ანალიტიკოსმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ შედეგებს, იგი დარწმუნებულია, რომ ამ კუთხითაც იქნება რაიმე, თუმცა რა – ამ ეტაპზე, თქმა უჭირს:

**„რა თქმა უნდა, იქნება პოლიტიკური შედეგებიც, მაგრამ როგორი – პროგნოზირება ძნელია, რადგან ინფორმაცია არ გვაქვს. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ შეთანხმების მიხედვით, ჩვენ რუსეთთან კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა გვაქვს. არ ვფლობ ინფორმაციას, გააფრთხილა თუ არა რუსეთის ხელმძღვანელობამ აფხაზეთის ხელისუფლება წინასწარ ამ ნაბიჯების თაობაზე: თუკი – კარგია, თუ არა – რა თქმა უნდა, ცუდი. ჩვენ ვნახეთ, როგორი ყურადღებით აკვირდებოდა თბილისი მოვლენებს მთიან ყარაბაღში.**



**არგებდნენ თუ არა ამ სცენარს საქართველოსა და აფხაზეთს – არ ვიცით, მაგრამ ნათელია, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს“.**

ანალიტიკოსის აზრით, აფხაზეთმა ასევე „სასწრაფოდ უნდა გადახედოს თავის საგარეო და სავიზო პოლიტიკას“.

**„ამჟამად იგი დახურულია, უვიზო ურთიერთობები აქვს მხოლოდ სამ სახელმწიფოსთან: რუსეთთან, ბელარუსსა და ყაზახეთთან. ტურისტული ქვეყნისთვის მსგავსი ჩრდილოეთკორეული ვარიანტი მიუღებელია და გადასახედი. გასულ წელს რუსეთსა და ბელარუსს შორის ვიზების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმება გაფორმდა. აფხაზეთსაც არ აწყენდა ანალოგიური შეთანხმებების გაფორმება, რათა, მაგალითად, ჩინეთის მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში ჩადიან, შეეძლოთ მოგზაურობა არა მარტო ბელარუსში, არამედ აფხაზეთშიც. ჩვენი პასუხი სიმეტრიული უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ტურისტული ნაკადის ზრდის შარშანდელ ტემპს დავკარგავთ“,** – დასძენს არისთავა.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება.

# გეშინოდეთ გირჩი ჯაფარიძის ლაშქრის!..







## ზურაბ ჯაფარიძის ტრენინგები რევოლუციის მომზადების ნაწილია!..

**ოპოზიციის მიზანია ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რაც შემდგომში უნდა იქნას გამოყენებული ქვეყანაში რევოლუციური პროცესებისთვის. თუმცა, ცხადია, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, დაუშვებს თუ არა იმ შეცდომებს, რამაც შეიძლება ხალხი გამოიყვანოს ქუჩაში. ოპოზიციის წარმომადგენელი სალომე სამადაშვილი ადასტურებს, რომ დასავლელ პარტნიორებთან ხშირად არის საუბრები იმასთან დაკავშირებით, როგორ ითხოვენ ქვეყნის დასანქცირებას.**

**მისი თქმით, იმის მიუხედავად, კანდიდატის სტატუსზე როგორ დასრულდება დებატები, სიცხადე უნდა შექმნან დასავლელი პარტნიორებისთვის და ქართველი ხალხისთვის – ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს თუ ევროპას და ქართველ ხალხს მართლაც სურს ევროპულ სივრცეში ერთად თანაცხოვრება.**

**ოპოზიცია რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ეს არაერთხელ დაადასტურეს. რადიკალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანამ არ მიიღოს სტატუსი, რასაც მოჰყვება ქუჩის პროცესები, რაც ოპოზიციისთვის ხელსაყრელია. ქართულმა ოპოზიციამ იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, ამიტომ საუკეთესო გამოსავალია რევოლუცია.**

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, რადიკალური ოპოზიცია ყველანაირად ეცდება, რომ რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის მოხსნა კიდევ ერთხელ გამოიყენოს იმ კამპანიისთვის, რომელსაც აწარმოებენ კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. თუმცა, მისი თქმით, არავითარი კავშირი არ არსებობს ამ საკითხსა და კანდიდატის სტატუსს შორის.

**„მახსოვს, თავის დროზე, როდესაც რუსეთმა საქართველო ამოიღო მტრული სახელმწიფოების სიიდან, ამასაც მოჰყვა რადიკალების აღშფოთება. სინამდვილეში, ეს იყო იმის გამოხატულება, რომ საქართველოს პრაგმატულ პოლიტიკას აქვს თავისი შედეგი და შედეგი არის ის, რომ საქართველოში დღეს ჩვენ არ გვაქვს მეორე ფრონტი, რაც ასე ძალიან უნდა რადიკალურ ოპოზიციას. ეს არის სინამდვილეში ამ ყველაფრის შინაარსი და შედეგი. რაც შეეხება, საგარეო პოლიტიკურ საკითხებს, მათ შორის, ევროკავშირში ინტეგრაციას, აქ უკვე წამოვიდა სპეკულაციები.**

**ეს სპეკულაციები გაგრძელდება და უფრო მეტიც, პირდაპირ შემიძლია გითხრათ და ამის მტკიცებულებებს ნახავთ თქვენ ალბათ, ხვალ, ზეგ, რომ რადიკალური ოპოზიცია ყველანაირად ეცდება, გამოიყენოს ეს თემა იმ კამპანიისთვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. ჩვენ დსთ-ს წევრი არ გავმხდარვართ დღეს. რუსეთის მხრიდან იყო სასჯელი დაწესებული და საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული სასჯელი მოიხსნა“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ოპოზიცია ცდილობს საქართველოს ევროინტეგრაციას ხელი შეუშალოს იმისათვის, რომ გამოიყენოს რევოლუციური სცენარები.

„ქართული ოცნების“ წევრის **მიხეილ სარჯველაძის** განცხადებით, საქართველოს რომ კანდიდატის სტატუსი მიეღო, მეტ დამაჯერებლობას შესძენდა საქართველოს საზოგადოებას იმიტომ, რომ არაფერი ისე არ აზიანებს დღეს საქართველოში დასავლურ განწყობას, როგორ უსამართლოდ მიღებული გადაწყვეტილებები ევროკავშირის მხრიდან.

* * *

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ისტორიის ყველა მცირე მოსახვევშიც კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ჩასაფრებული არიან და თუ შესაძლებლობა ექნებათ, ეცდებიან, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ პროცესები.

**„გასაკვირი იქნება სხვანაირად რომ ყოფილიყო. ჩვენ ვნახავთ, რომ ნაცების ოპოზიციას არ აქვს იმის უნარი, რომ გადალაგდნენ და დაიწყონ მზადება არჩევნებისთვის, ეცადონ ხალხის გულის მოგებას, რაც არჩევნების ერთ-ერთი ცალმხრივი მოვლენაა. ზოგიერთი ოპოზიციონერი საყვედურობს ამ მხრივ რადიკალებს და მით უმეტეს მმართველი ძალა, რომ სულ რევოლუციისკენ წასვლას ცდილობენ. ვეთანხმები ამ შეთანხმებას. არასწორია რევოლუციისკენ ასეთი სწრაფვა, მაგრამ სწრაფვა სახეზეა და ისიც სახეზეა, რომ ცდილობენ რევოლუციის მოხდენაზე იმუშაონ“**, – აცხადებს საყვარელიძე.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, რომ **ზურაბ ჯაფარიძის** მიერ ჩატარებული ტრენინგები სწორედ რევოლუციის მომზადების ნაწილია – თუ ძალისმიერი მოქმედება დასჭირდება ოპოზიციას, ჯაფარიძეს ჰყავდეს თავისი ლაშქარი.

**„არჩევნებში ხომ ასეთი შეიარაღებული ხალხი არ არის საჭირო, ე.ი. ოპოზიციისთვის შეუძლებელია არჩევნებით პოლიტიკური მიზნის მიღწევა, ამიტომ ძალისმიერი მეთოდებით უნდათ მიზანს მიაღწიონ. ამ სურათთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რახან მაგათ უნდათ, ასეც მოხდება.**

**ფაქტია, რომ მთელი ეს ხანი მათ სურდათ ხელისუფლების შეცდომების გამოყენება იმისთვის, რომ მერე ხალხის უკმაყოფილებით მოეხდინათ რევოლუცია, ახლაც იგივეა, მაგრამ აქამდე ვერ მოახერხეს და სავარაუდოა, რომ ვერც აწი მოახერხებენ ბევრი მიზეზების გამო. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს აღარ უნდა რევოლუციებით შეცვლილი ხელისუფლება“**, – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

პოლიტოლოგ **გიორგი მდივანის** განცხადებით, ოპოზიცია ნებისმიერ მცდელობას იყენებს პროცესების რადიკალიზაციისთვის და იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ვერ მიიღებს კანდიდატის სტატუსს, შეეცდებიან პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა კიდევ ერთხელ გაზარდონ და შეძლებისდაგვარად მოხდეს სიტუაციის ესკალაცია.

**„რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, უნდა ითქვას, რომ ეს არანაირ სოლიდურ პრეფერენციას არ იძლევა. თურქეთს ეს სტატუსი გააჩნია რამდენიმე ათეული წელიწადია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, არათუ უახლოეს მომავალში, არამედ საერთოდ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება. ეს არის ერთგვარი მარკეტინგული ხრიკი, რათა ამით მოხდეს თუნდაც საქართველოს ხელისუფლების, ან ნებისმიერი სხვა ხელისუფლების მანიპულაცია დასავლეთის მხრიდან.**

**თუ მოლდოვას და უკრაინას მიენიჭა ეს სტატუსი, სადაც როგორც კორუფციის, დამოუკიდებელი სასამართლოს და ადამიანის უფლებების კუთხით ბევრად უფრო სავალალო მდგომარეობა არის. საქართველო თითქმის ყველა მაჩვენებლით უსწრებს ყველა ამ ქვეყანას, მათ შორის უკრაინას, რომელიც ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ მსხვერპლია და ელემენტარული კანდიდატის სტატუსი მაინც გადაუგდეს, მაგრამ მოლდოვას შემთხვევაში გაურკვეველია“**, – აცხადებს **გიორგი მდივანი.**

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, რეალურად, ეს სტატუსი ევროკავშირის და ზოგადად, კოლექტიური დასავლეთის მხრიდან, გამოიყენება როგორც ერთგვარი ბერკეტი საქართველოს ხელისუფლებასთან მიმართებაში.

**თამთა ქარჩავა**

# მჩაგვრელს ათმაგად მივუზღავთ!

## გია აბაშიძე: უმგავსობა იყო, როცა მძარცველი კეზერაშვილის ტელევიზიით „ევროპელი სოციალისტების“ ვიცე-პრეზიდენტმა ნოტაციები უკითხა საქართველოს საზოგადოებას

(მეორე გვერდიდან)

ის, რომ ევროპელი პენსიონერების მძარცველი კეზერაშვილის ტელევიზიით გამოვიდა „ევროპელი სოციალისტების“ ვიცე-პრეზიდენტი და, ასე ვთქვათ, ნოტაციები უკითხა საქართველოს საზოგადოებას და „ქართულ ოცნებას“, ის, რომ არც ყოფილა მანამდე შიდა სამუშაო კომუნიკაცია „ქართულ ოცნებასთან“, ეს მეტყველებს, რომ აქ მეგობრობა უკვე გამქრალია და აქ არის მხოლოდ პოპულისტური ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები სხვადასხვა ტელევიზიებში, მათ შორის, მათდა სამარცხვინოდ, კრიმინალი კეზერაშვილის ტელეეთერში. აქ უკვე დამთავრებულია ყველაფერი და ზუსტად ამან დააჩქარა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ.

**– „ევროპელ სოციალისტებს“ არ მოეწონათ პრემიერის გამოსვლა უნგრეთში ლგბტ პირთა შესახებ, ანტიდასავლურ რიტორიკაში დაადანაშაულეს „ოცნება“ და რუსეთთან მის ორჭოფულ პოზიციას შეეხნენ. როგორ ფიქრობთ, „ევროპელი სოციალისტები“ დამოუკიდებელნი იყვნენ ამ ბრალდებებში?**

– ზუსტად ეს არის, რომ „ევროპელი სოციალისტები“ ჩადგნენ ფსევდოლიბერალების კალაპოტში. ფსევდოლიბერალთა პოლიტიკური დღის წესრიგი კი არის ნეობოლშევიზმი – „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. ოჯახურ ფასეულობებს, რწმენას, სუვერენიტეტს როდესაც ემყარება ქვეყნის ხელისუფლება და მისი ხალხი, ეს თუ პრორუსულია, მაშინ ნამდვილად აცდენილნი არიან, როგორც „ევროპელი სოციალისტები“, ისე მათი უცხოელი პარტნიორები სინამდვილის რეალისტურ აღქმას.

**– „ქართულ ოცნებასთან“ ყველაზე ახლობელი შეიძლება აღმოჩნდეს ევროპელი „კონსერვატორების პარტია“, მაგრამ აქ პრობლემას ქმნის, რომ „ევროპელ კონსერვატორებს“ წარმოადგენს ანა ფოტიგა, რომელიც სააკაშვილის უპირობო დამცველია. თორემ „ევროპელ ლიბერალებთან“ „ოცნებას“ საერთო არ აქვს, „ლიბერალებთან“ უფრო მეგობრობენ „ლელო“, „გირჩი“ და „რესპუბლიკელები“.**

– მე ვფიქრობ, ახლა კონკრეტული პოლიტიკური მეგობრობის გაფორმება ნაადრევია, დაკვირვების რეჟიმი საუკეთესო გამოსავალია, ერთ წელიწადში კი ევროპარლამენტში გამართული არჩევნების შემდეგ არსებული ევროპარლამენტარები შეიძლება აღარც ვიხილოთ. სხვადასხვა პროცენტები შეიძლება მიიღონ პარტიებმა და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რომლის ათვლაც დაიწყება 2024 წლიდან, უპრიანი იქნება, შედგეს პოლიტიკური პარტნიორობა. რასაკვირველია, „ქართული ოცნების“ დეკლარირება ბოლო წლებში იქითკენაა, რომ ეს არის ძირძველი კონსერვატიული ფასეულობები, შესაბამისად, ევროპარლამენტშიც კავშირი შესაბამისობის პოლიტიკური გემოვნების ჯგუფთან ექნებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ურთიერთობა სხვებთან არ ექნებათ. კარგია იმის გაცხადება, რომ ყველასთან თანაბარი პარტნიორობა ექნებათ დაკვირვების რეჟიმში.

**მანანა ნოზაძე**

EU

# თავისუფლებით დაწყევლილნი



## ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია

# ევროპის მზის ჩასვენება

(პირველი გვერდიდან)

**ეს დაინახა შპენგლერმა და ამიტომ თქვა, ევროპის მზე ჩაესვენაო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ კულტურის დეგრადაციას საზოგადოების როგორი დეგრადაცია მოჰყვებოდა და ევროპის „საღამოს“ წკვარამი ღამე შეცვლიდა. „ღმერთი არ არის, მაშასადამე ყველაფერი ნებადართულია!“ (დოსტოევსკი). რა მოსდევს ყველაფრის ნებადართულობას, ანუ ადამიანის სრულ თავისუფლებას, ეს კარგად დაინახა მეორე დიდმა მოაზროვნემ, ფრანგმა ჟან-პოლ სარტრმა, რომელმაც გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი „თავისუფლებით დაწყევლილი“. ვინ არის, სარტრის აზრით, თავისუფლებით დაწყევლილი?**

ადამიანი!

რატომ, მაინცდამაინც ადამიანი? ცხოველები, განა, დაწყევლილები არ არიან?

არა, არ არიან! ამის მიზეზი მარტივია, რაც ყველა ნამდვილმა ფსიქოლოგმა იცის, არ იციან იმათ, რომელმაც ფსიქოლოგის დიპლომი სადღაც ორღობის „უნივერსიტეტებში“ მიიღეს. ვინც არ იცის, იმათთვის განვმარტავ: ადამიანი თავისი ბიოლოგიური კლასის ცხოველებისაგან (ხერხემლიანი ძუძუმწოვარა ცხოველები) მხოლოდ ერთი რამით განსხვავდებიან – შემეცნების უნარით! შემეცნება კი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა და ამის საფუძველზე დასკვნის გაკეთების უნარია. ამიტომ ცხოველი როგორ პირობებშიც არ უნდა გაზარდო, ის იმ მემკვიდრეობის შესაბამისი იქნება, რაც მასში გენეტიკურად არის მოცემული. ამიტომ არის, რომ ლომი თუ მგელი დღესაც ისეთია, როგორიც მისი წინაპარი იყო მილიონი წლის წინ, ადამიანი კი თავისი შემეცნების უნარის მეშვეობით მუდმივად იცვლება – ვითარდება ან... დეგრადირებული ხდება.

ახლა ამაზე ღრმა მსჯელობას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ადამიანის განვითარება მის სოციალურ გარემოში აღზრდაზეა დამოკიდებული. აღზრდა კი არის ადამიანში დადებითი სოციალური თვისებების ჩამოყალიბების მიზანმიმართული პროცესი.

აი, ამ პროცესის სრული უგულებელყოფაა პიროვნების სრული თავისუფლების სატანისტური იდეა, რაც საფუძვლად უდევს ყველა რევოლუციას, სოციალური იქნება იგი, თუ სექსუალური. ზნეობის უარყოფა სწორედ ამის შედეგია, რადგან ზნეობრიობა ზღუდავს ადამიანს. სწორედ ამ მიზნით წამოაყენა ტროცკიმ ლოზუნგი „ძირს სირცხვილი!“ (ДАЛОЙ СТЫД!). **დღევანდელი ნეოლიბერალიზმი სწორედ ტროცკიზმის რეინკარნაციაა!**

ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში ნეოლიბერალიზმი, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს ლიბერალიზმთან და, სწორედ, ფაშისტური მეთოდებით მკვიდრდება, სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. მეტიც! იგი სატანისტურ რელიგიად იქცა. აშშ-ს პრეზიდენტმა ბაიდენმა საქვეყნოდ განაცხადა, ტრანსგენდერები არიანო ამერიკის ჭეშმარიტი სახე!..

ეს ანტიადამიანური პოლიტიკა პირველ ყოვლისა მოზარდ თაობისკენ იქნა მიმართული. დასავლური განათლების სისტემა უკვე კარგა ხანია სრულად მოიცავს უზნეობის თავისუფლების პროპაგანდას, რაც ჩვენი, შინაური აგენტების – ენჯეოების, ანუ დასავლეთის მოხალისე მონების ხელშეწყობით, ნელ-ნელა შეუმჩნევლად თუ უკვე აშკარად იჭრება თანამედროვე სკოლებში. აღზრდის სისტემის არარსებობის პირობებში ამ ზნეობრივი დივერსიების გაკონტროლება შეუძლებელია.

**ისევ ევროპის დეგრადაციის პროცესს დავუბრუნდეთ.**

ვიდრე ევროპის დეგრადაციის კონკრეტულ მაგალითებს განვიხილავდე, მანამდე მინდა გონივრული ეჭვი (როგორც დღეს იურისტები ამბობენ ხოლმე) გამოვთქვა იმის თაობაზე, რომ მკითხველთა ერთმა ნაწილმა შეიძლება იფიქროს: რას ამბობს ეს კაცი, აყვავებული და დაგვილ-დავარცხნილი ევროპა, სითაც ყველა კუთხიდან მიილტვიან კარგი ცხოვრებისათვის, დეგრადირებული როგორ არისო!

ძველი რომი და შემდგომში კი ბიზანტია უკონკურენტო სახელმწიფოები იყვნენ, მაგრამ უზნეობის ჭაობში ჩაძირულებს, ისე დაემხოთ თავზე ქვეყანა და ისე აღიგავენ პირისაგან მიწისა, რომ გაგებაც კი ვერ მოასწრეს თავიანთი უბედურებისა. ასე მოუვა ყველას, ვინც ხელს აიღებს ზნეობაზე და ღმერთის გარდაცვალებას დაიჯერებს.

ევროპასა და აშშ-ში დაიჯერეს „ღმერთის გარდაცვალება“ და მიწიერი ზეკაცის ილუზიის ტყვეობაში მოექცნენ, რამაც არია ის წესრიგი, რაც ადამიანის სოციალური განვითარების პირობებს უზრუნველყოფდა. სკოლამ დაკარგა აღმზრდელობითი ფუნქცია და სასკოლო განათლების სისტემაში მკაცრი წესრიგი და დისციპლინა ე.წ. ლიბერალურმა ატმოსფერომ შეცვალა. ეს ცხადია, სწავლების შინაარსზეც აისახა, არა სიღრმისეული ცოდნის ათვისება, სწავლების შედეგად ლოგიკური აზროვნების განვითარება, არამედ ზოგადი უნარების განვითრება გახდა პრიორიტეტული. ეს იყო არა შემოქმედის, კონკრეტული საქმის კეთების ცოდნით აღჭურვილი პიროვნების აღზრდაზე ორიენტაცია, არამედ მომხმარებელზე.

მომხმარებლის ინტელექტი დეგრადირებულია, რადგან იგი მიმართულია არა განვითარებაზე, ანუ ზოგად საკაცობრიო ამოცანების გადაწყვეტაზე, არამედ კერძოზე, საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე. „მე ვიყო კარგად და უზრუნველყოფილად!“ – აი, ეს არის ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებებზე დაფუძნებული განათლების იდეოლოგიური საფუძველი.

ყველაზე მზაკვრული ნეოლიბერალური ნარატივი არის გენდერული თანასწორობის ანტიადამიანური შეგნების დამკვიდრების აუცილებლობის მოთხოვნა, რაც ფაშისტური მეთოდებით განხორციელდა და ხორციელდება ე.წ. დასავლეთში. რას ნიშნავს, სინამდვილეში, ეს? კანონის წინაშე ქალი და კაცი რომ თანასწორია, ეს კლასიკური დემოკრატიის ურყევი ჭეშმარიტებაა, მაგრამ გენდერული თანასწორობა, ნეოლიბერალების აზრი, ამას როდი ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალისა და კაცის არა მარტო სოციალური ფუნქციები, არამედ ბიოლოგიური ფუნქციებიც გათანაბრებული უნდა იყოს, მაგალითად, კაცისა და ქალის ქორწინება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ქაცისა და კაცისა. ეს კაცი გათხოვდაო, თუ თქვეს, დღეს არ უნდა გაგიკვირდეთ და ენის უცოდინარობა არ დააბრალოთ ამის მთქმელს. ცხონებულ ნიკო გომელაურს რომ აქვს ნათქვამი: „ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ჯონდო დააორსულა!“ ვინმე თუ ამის წინააღმდეგია, ნეოლიბერალების ბატონობის შემთხვევაში უთუოდ დაისჯება.

ძალიან გრძელია იმ უკუღმართობის სიის ჩამონათვალი, რაც ე.წ. დასავლეთშია გავრცელებულ-გამეფებული, რამაც დეგრადაცია და ევროპის მზის ჩასვენება გამოიწვია!

ახლა იმაზე ვთქვათ, რაც ყველა გონიერი ადამიანისათვის აშკარაა და დიდ მტკიცი-ფიცს არ საჭიროებს.

უკვე დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც სკოლის მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე ოქროს მედლებს არაევროპელი ბავშვები ეუფლებოდნენ, ამ მოვლენამ შეაშფოთა რონალდ რეიგანი და აშშ-ს პრეზიდენტად არჩევისთანავე მოითხოვა სპეციალისტებს მისთვის საბჭოთა სკოლებში მათემატიკის მოქმედი სახელმძღვანელოები ეჩვენებინათ (ოლიმპიადები სწორედ მათემატიკაში ტარდებოდა).

აჩვენეს!.. როგორც წესი, მაშინ პრეზიდენტები პირველ მოხსენებას კონგრესში სწორედ განათლების საკითხებზე აკეთებდნენ და რეიგანის ამ პირველი მოხსენების სათაური იყო ასეთი – „ერი საფრთხეშია!“ ეს მოხსენება „იუნესკოს“ ჟურნალ „პერსპექტივებში“ გამოქვეყნდა, რომელიც მსოფლიოს 33 ენაზე იბეჭდებოდა. ჩვენც ვღებულობდით და წაკითხულიც მაქვს.

რეიგანის ავტორიტეტმაც არ უშველა, რადგან ნეოლიბერალების შეტევა უკვე ძალას იკრებდა და ყველაფერს ეუფლებოდა.

**აქვე ვიტყვი, რომ თვითონ ამერიკელი მეცნიერების აზრით, აშშ-ს სკოლები ყველაზე უარესია მსოფლიოში (93% სახელმწიფო სკოლებია, მხოლოდ 7%-ია კერძო, სადაც გადასახადი ფანტასტიკურად მაღალია). ამიტომ არის, რომ აშშ-ში მეცნიერ-მკვლევართა 70%-ზე მეტი უცხოეთიდან არიან ჩამოყვანილი – იაპონიიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან, საქართველოდან!..**

მეცნიერებს კი ყიდულობენ, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეებისა და, საერთოდ პოლიტიკოსების იმპორტი არც ისე ადვილია, აბა, ნახეთ რა პოლიტიკოსები მართავენ ევროპასა და აშშ-ს და ვინ წარმართავს მათ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი არც ისე შორეულ წარსულში ეკავა უინსტონ ჩერჩილს, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც მოყვარეთა, ისე მტერთა შორის.

მის აზრს ანგარიშს უწევდა ყველა, ეთანხმებოდა თუ არ ეთანხმებოდა მას, რატომ? იმიტომ, რომ დიდი ცოდნა და შესაბამისი ერუდიცია ჰქონდა. ასევე ღირსეული პრემიერები იყვნენ ანტონ იდენი და ლეგენდარული მარგარეტ ტეტჩერი.

ამ ბოლო ათწლეულებში რა ხდება?! უღირსებო ტონი ბლერი, რომელმაც ბრიყვულად აღიარა: ერაყი იმიტომ გავანადგურეთ, რომ გვეგონა სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდაო, დაზვერვამ შეგვიყვანა შეცდომაშიო. ბორის ჯონსონი თავის ქვეყანაშიც კი საცინრად იყო აგდებული, გადადგომის შემდეგ ხომ მსოფლიო მასშტაბის კლოუნად იქცა. მისმა შემცვლელმა ტრასმა პრემიერის პოსტზე სამი თვეც ვერ გაძლო, თუმცა მაინც მოასწრო თავისი იდიოტობის დემონსტრირება. მსოფლიო ლიდერის პრეტენზიის მქონე დიდმა ბრიტანეთმა ინგლისელთა შორის პრემიერობის



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი არც ისე შორეულ წარსულში ეკავა უინსტონ ჩერჩილს, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც მოყვარეთა, ისე მტერთა შორის. ბორის ჯონსონი თავის ქვეყანაშიც კი საცინრად იყო აგდებული, გადადგომის შემდეგ ხომ მსოფლიო მასშტაბის კლოუნად იქცა.

შემძლე კაცი რომ ვერ მოძებნა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფილი დამონებული ქვეყნის შვილი, ინდოელი კაცი დანიშნა. ლონდონის მერი კი კარგა ხანია ეგვიპტელი არაბია, რომელმაც ამ ათ წელიწადში 100-ზე მეტი მეჩეთი ააშენა ლონდონში, რომლის შემოგარენში შარიათის კანონები მოქმედებენ. ერთსაც ვიტყვი: რიჩარდ ლომგულისა და ოლივერ კრომველის ქვეყანაში რაინდის წოდებას იმ „კაცს" ანიჭებენ, რომელიც ზარზეიმით გათხოვდა მასზე ბევრად ახალგაზრდა კაცზე.

საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელსაც შარლ დე გოლის კაბინეტი უკავია, ევროპელები ყურებიან საჯდომს უწოდებენ, საკუთარი ხალხი კი კაცად არ მიიჩნევს, რადგანაც თავისზე 27 წლით უფროსი ქალი ჰყავს ცოლად.

რაც შეეხება გერმანიას, ადენაუერის ქვეყანაში, სადაც უსერიოზულესი და ღირსეული ჰელმუტ კოლი და ვილი ბრანდტი იკავებდნენ კანცლერის პოსტს, ამ ცოტა ხნის წინ ჩემი აზრით, სრულიად არასერიოზული პოლიტიკოსი ანგელა მერკელი მართავდა, ახლა კი ამ პოსტზე აბსოლუტურად უღირსებო შოლცი ბრძანდება, რომელიც მუხლმოყრილი დგას მისი ოკეანისგაღმელი პატრონების წინაშე. ახლა ისიც ვნახოთ, რა განათლების მქონე მინისტრები ახვევია გარს. მისმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, არ გავჩერდებით, ვიდრე რუსეთს XIX საუკუნის საზღვრებში არ დავაბრუნებთო. ამ უბედურმა ისიც კი არ იცის, რომ XIX საუკუნეში რუსეთის შემადგენლობაში უკრაინა კი არა, პოლონეთი, მთელი ბალტიისპირეთიც და ფინეთიც შედიოდნენ. როგორია, ჰა?

ევროპელმა ლიდერებმა იციან ის, რომ უკრაინა ისეთივე რუსეთია, როგორც იორქშირის საგრაფოა ინგლისი, ან გასკონია საფრანგეთი, თუნდაც პრუსია – გერმანია? იმათ კი არა, ბევრმა ქართველმა, რომელმაც სკოლა ბოლო 30 წლის პერიოდში დაამთავრა, არ იცის, რომ უკრაინა ისეთივე რუსეთია როგორც გურია – სამეგრელო და რომ უკრაინა ლენინის გამოგონილია, მისი მზაკვრული ჩანაფიქრის შესაბამისად.

აი, რა უბედურებაა გაუნათლებლობა! როდესაც გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ევროპის გუშინდელი ისტორია არ იცის, რა დონეზე იქნებიან დანარჩენები, ადვილი მისახვედრია! ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტს კანადა და ჩინეთი ერთმანეთში რომ ერევა, ეს შეიძლება მის ასაკსა და გონების ასაკობრივ სისუსტეს დააბრალო, მაგრამ მისი ქვეყნის ამასწინანდელი ახალგაზრდა პრეზიდენტი ბუში უმცროსი რომ ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს ავსტრიას და ავსტრალიისა, ეს აშშ-ს პოლიტელიტის ინტელექტუალურ დეგრადაციაზე არ მიუთითებს, განა? აშშ-ს პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელმა და მრჩეველმა, რომელიც ახლა ბაიდენის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პიროვნებაა და, ალბათ, ჭკუასაც ეკითხებიან, ამასწინათ განაცხადა: თუ ბელორუსი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩაერევა, ამერიკის მე-7 ფლოტი ბელორუსის საზღვრებს მიადგებაო. ხმელეთზე, მით უფრო ტყიან მონაკვეთზე როგორ იმოძრავებს აშშ-ს ფლოტი, მაცოდინა ნეტავი!

* * *

**მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ ბრძენკაცთა ნათქვამს, კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო. მზეგამწყრალი ევროპის მაგალითზე ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ გაცხადდა.**

ეს უბედურები და მათი ტვინგალაყებული მიმდევრები ჩვენშიც და სხვაგანაც მაინც ვერ ხვდებიან, რომ ნიცშეს მიერ შემოგდებული ცნობა ღმერთის გარდაცვალების შესახებ ნამეტნავად გადაჭარბებულია. ევროპაში მე არ დავდივარ, ამიტომ სახეზე ვერ დავაკვირდები იქაურ ნეოლიბერალურ ელიტას, ნებისმიერმა ფსიქიატრმა იცის, რომ გონდაკარგულობა პირველ ყოვლისა სახეზე აესახება ადამიანს, მერე კი ქცევაზე. აქაურების სახეებს ყველანი ხშირად ვხედავთ და ახლავე შემიძლია ჩამოვთვალო ის „პოლიტიკური" ლიდერები, რომლებსაც ჩვენშიც სახეზე აწერიათ იდიოტობა, მაგრამ არ მინდა მათი დასახელება, რადგან შეურაცხყოფა



**საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელსაც შარლ დე გოლის კაბინეტი უკავია, ევროპელები ყურებიან საჯდომს უწოდებენ, საკუთარი ხალხი კი კაცად არ მიიჩნევს, რადგანაც თავისზე 27 წლით უფროსი ქალი ჰყავს ცოლად.**



არ მივაყენო მათი გვარის სხვა ღირსეულ წარმომადგენლებს. ერთი კი უნდა დავასახელო. ეს „კაცია" გაურკვეველი წარმომავლობის ნეოლიბერასტი, რეგვნებში ინტელექტუალად მიჩნეული სუბიექტი, რომელიც ლევან რამიშვილის გვარ-სახელით მოგვევლინა. აი, რას ამბობს ეს საცოდავი: „ქრისტიანობა ყველაზე დიდი სულიერი სიმახინჯეა, რაც კი არსებობს დედამიწაზე". ამ უბედურს რომ ჰკითხო, ღვთის რისხვისა არ გეშინიაო, გაეცინება და უშიშრად გიპასუხებს: აბა, ერთი რას მიზამს ეგ თქვენი ღმერთიო.

გაუგიჟებიხარ, შე გლახა და რა გიყოს მეტი? ღმერთი ჯალათი კი არ არის, რომ დაგსაჯოს, მან ის ღვთიური თვისება წაგართვა, რაც ადამიანად გაქცევდა, აწი შენ დასჯი შენს თავს, იმაზე უფრო სასტიკად, ვიდრე სხვა გიზამდა ამას. შენს გასაგონად კი არ ვამბობ, არამედ იმათ საყურადღებოდ, რომლებიც თავგადაკლულები ილტვიან ევროპულ ნეოლიბერალურ ჭაობში ჩასაძირვისკენ.

* * *

**მზედაკარგული ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო წარსულში გერმანია იყო უძლიერესი ეკონომიკით, ტექნიკით, მეცნიერებით, კულტურით, ლიტერატურით. მსოფლიო კულტურა და აზროვნება წარმოუდგენელია გოეთეს, ბახის, ბეთხოვენის, ჰეგელის, კანტის, აინშტაინის და ბევრი სხვა დიდი შემოქმედის გარეშე, მაგრამ დღეს? ბისმარკის ქვეყანაში ქვეყნის პრეზიდენტია კაცზე გათხოვილი კაცი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, მაშინ „გაბედნიერდა"...**

აი, როგორც ეს გათხოვილი კაცი-პრეზიდენტი გაამრავლებს თავის მემკვიდრეებს, ისეთივე ბედი ელის ლიბერასტულ-სატანისტურ ჭაობში ჩასაძირავად განწირულ გერმანიასაც და მასთან ხელჩაკიდებულ „ბებერ" ევროპასაც.

აი, ამ ევროპულ მომავალზე ლოცულობთ თქვენ, ქართველო ლიბერასტებო, რომლებსაც ევროპა საკუთარი „შინ" გგონიათ! თქვენც ბაიდენივით გინდათ იამაყოთ საკუთარი ეროვნული მამათმავლებით, ტრანსგენდერებითა და პედოფილებით! თქვენც ოცნებობთ იმ დროზე, როდესაც თქვენც შეგეძლებათ აშშ-ს პრეზიდენტივით ქვეყნის წინაშე „ვალმოხდილებმა" განაცხადოთ: ტრანსგენდერები საქართველოს ნამდვილი სახეაო, არა?

ვერ მოესწრებით ამას! საქართველოს მზე არ ჩაესვენება და მართლმადიდებლურ სამყაროში, ჭეშმარიტი ღმერთის სამწყსოში მუდამ იჩახჩახებს მზე, თქვენი გასაგისი კი ისე გაქრება, როგორც სოდომ-გომორი გაქრა და ჩაინაცრა! ეს წყევლა არ არის, თქვენ თქვენი თავი თვითონ დაწყევლეთ მაშინ, როდესაც ღმერთი და ზნეობა უარყავით!

**საქართველოს ხელისუფლებავ, ნუ შეკრთები სასიკვდილოდ განწირული „თავისუფლებით დაწყევლილთა" მუქარის წინაშე! გადარჩენა თუ გინდა, მიაფურთხე მამონას და მტკიცედ სდექ ჭეშმარიტ ადამიანურ მრწამსზე, აწინდელ და მომავალ თაობათა გადასარჩენად!..**

**გახსოვდეთ, რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების"!..**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

10. 05. 2023

ტელ; 555 56-75-37



**P.S. რა თქმა უნდა, ყველა ევროპელი როდია ნეოლიბერალი-მამათმავლების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და სხვა უკულმართობისა და ულმრთობა-უზნეობის მეხოტბე. ტრადიციების, ადამიანური ღირებულებების ერთგულებიც ბევრია, მაგრამ მთელ ხალხზე იმის მიხედვით მსჯელობენ, რა მრწამსის ხელისუფლებაც მართავს მათ და როგორია ამ ქვეყნების სტრატეგიული ორიენტაცია. ფაშისტური გერმანიაო, რომ ამბობდნენ, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ყველა გერმანელი ჰიტლერის მეხოტბე იყო.**

**ზ. ც.**

## პუტინი იბერიის ღვთისმშობლის ხატთან



# გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი...

**ძვირფასო ბატონო რედაქტორო! მიმაჩნია რა, რომ მსოფლიო, რომლის უპირველესი მოვალეობაა უპატრონოს საკუთარ სამყოფელს, ღვთით ბოძებულ დედამიწას, უნდა შეწყვიტოს მსოფლიოს ბაქტერიოლოგიური ომებიც და მითუმეტეს ბირთვული ომების პერსპექტივები და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქრისტიანო მსოფლიოს წარმართვისათვის მშვიდობის მებაირახტრედ.ამიტომ გთხოვთ, „საქართველოს რესპუბლიკაში" თქვენებური დახვეწილი ბეგოვნებით გამომიქვეყნოთ ეს წერილი რუსეთის პრეზიდენტისადმი, და რაც დასაფასებელია, დავუფასოთ!**

უღრმესი პატივისცემით და დღევანდელი ღვთისმშობლის წილხვედრილობის დღის გულითადი მილოცვით – **დენიზა სუმბაძე**

## მის აღმატებულებას, რუსეთის პრეზიდენტს –ბატონ ვლადიმირ პუტინს –იბერიის ღვთისმშობლის ხატისადმი ჩვენს თანამლოცველსა და კაცობრიობის გადარჩენისათვის მვედრებელს

**ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, დიდი რუსეთის!**

დღეს, როდესაც მთელი საქართველო ზეიმობს იბერიის ღვთისმშობლის წილხვედრილობის დღეს (იგულისხმება 12 მაისის დღესასწაული – რედ.), არ მავიწყდება თქვენი განსაკუთრებული რწმენა და სიყვარული იბერიის ღვთისმშობლის ხატისადმი. წლების წინ, ამაღელვებელი იყო ჩემთვის თქვენი ხლება საბერძნეთში, ათონის მთაზე იბერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე. და თქვენი განცხადება ათონის მთის ბერების წინაშე: რომ თქვენი რწმენით ყველაზე ძლიერი, ღვთისმშობლის უამრავ ხატებს შორის, არის იბერიის ღვთისმშობლის ხატი!

მაშინ მე გამოგიქვეყნეთ ღია წერილი გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" სათაურით: „საქართველოსა და რუსეთს შორის იბერიის ღვთისმშობელი ჩადგა!" და როგორც საბჭოთა პერიოდში, საიდუმლოდ და არალეგალურად იბერიის ღვთისმშობლის ხატის ორდენის დამფუძნებელმა, ჩვენი მფარველი ხატის ესოდენი სიყვარულისთვის მოგანიჭეთ იბერიის ღვთისმშობლის ხატის ორდენის პირველი საერთაშორისო რაინდის წოდება.

და დღეს, როდესაც თქვენ რუსეთსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლა დააკანონეთ, და ჩინური კედელი დაანგრიეთ, ერთად უნდა შევწიროთ მადლობა იბერიის ღვთისმშობელს, იბერიის ღვთისმშობლის ხატი ნამდვილად ჩადგა რუსეთსა და საქართველოს შორის და თქვენი ლოცვაც ათონის მთაზე, ნამდვილად შეიწირა იბერიის ღვთისმშობელმა. ახლა ერთი დიდი მისია დაგვრჩა აღსასრულებელი: იბერიის ღვთისმშობლის ხატმა უნდა შემოიაროს განსაცდელში მყოფი მთელი დედამიწის ირგვლივ! და კაცობრიობამ უნდა დაამთავროს ბაქტერიოლოგიური ომებიცა და შეიარაღებული ომებიც! აკრძალულ იქნას ყოველგვარი დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის! დაგლოცოთ უფალმა და დაგლოცოთ დედა ღვთისმშობელმა!

**დენიზა სუმბაძე,**

ფილისოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის", ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს", სრულიად საქართველოს თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის „ერის უფლება და ღირსების" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.






# ხუთჯვრიანი დროშა უემბლის სტადიონზე?!

## საქართველო-ინგლისის საფეხბურთო მატჩის მოლოდინში...

**ვინაიდან გასულ კვირას ქართული საზოგადოების ყურადღება ჯერ „კვარას“ იტალიაში „გამეფების რიტუალმა“ მიიპყრო, რომელზეც ის „ხუთჯვრიანი მოსასხამით“ წარსდგა პოდიუმზე, შემდეგ კი ელისაბედ მეორის მემკვიდრის მიერ სამფლობელოს ოფიციალურად გადაბარების არანაკლებ პომპეზურმა ცერემონიამ, ამჯერად სწორედ გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო დროშაზე გავამახვილებ ყურადღებას. მით უმეტეს, ინგლისელები ფეხბურთს ქართველებივით (ცხადია, იტალიელებივითაც...) აღმერთებენ, თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, უპირველესი ეროვნული სიმბოლოს წარმომავლობისა და შინაარსის თაობაზე კარგად არიან ინფორმირებულნი...**

ვიკიპედიას ცნობით, X-XI საუკუნეებში ევროპაში ფართო პოპულარობა მოუპოვებია ლეგენდას, რომლის თანახმად, წმინდა გიორგიმ თავისი მამაცობით და ჯვრის საოცარი ძალით დაამარცხა მრისხანე გველეშაპი (არაბებისა და მაჰმადიანების სიმბოლო) და გაათავისუფლა კერპთაყვანისმცემელი მეფის ქალწული (კათოლიკური ეკლესიის სიმბოლო), მეფემ კი მადლიერების ნიშნად ქრისტიანობა მიიღო. ფერმწერები წმინდა გიორგის გამოსახავდნენ გველეშაპის განგმირავ რაინდად თეთრ ფონზე, რომელზეც წითელი ჯვარი იყო გამოსახული.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა წინამძღოლმა – ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულმა წმინდა გიორგი თავის მფარველად აირჩია, ხოლო მისი ფარის ფერთა შეხამება გადაიტანა ინგლისის გემების დროშებზე. ასე გაჩნდა ბრიტანეთის დროშის საფუძველი – თეთრი ტილო დროშის კიდეებამდე გაგრძელებული ერთი წითელი ჯვრით (წმინდა გიორგის სიმბოლო).

მას შემდეგ, რაც ელისაბედ პირველის ანდერძის თანახმად, ინგლისის ტახტი შოტლანდიის მეფე ჯეიმსს გადაეცა, მან ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული სამეფოს გაერთიანება გონივრული ბრძანების გამოცემით მოახერხა: „ჩვენი საყვარელი ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეშევრდომების შორის დიდი მღელვარების შემდეგ სასიკეთოდ მივიჩნიეთ მათი დროშების გაერთიანება“ (1605). შედეგად, ერთ სიბრტყეზე მოათავსეს ინგლისური თეთრი დროშა წმინდა გიორგის სწორი წითელი ჯვრით და შოტლანდიის ლურჯი დროშა წმინდა ანდრიას ირიბი თეთრი ჯვრით. მოგვიანებით ამ დროშას უწოდეს „მეფე ჯეიმსის გაერთიანებული დროშა“ ან შემოკლებით „Union Jack“ („გაერთიანებული ჯეკი“).

დღევანდელი სახე ბრიტანეთის დროშამ 1801 წელს მიიღო, როცა ირლანდიის მიერთების შემდეგ „იუნიონ ჯეკს“ კიდევ ერთი ჯვარი დაემატა – ეს იყო ირიბი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, რაც ირლანდიელთა კათოლიკურ სიწმინდედ იყო მიჩნეული (ირლანდიაში ქრისტიანობა წმინდა პატრიკს გაუვრცელებია).

ამრიგად, გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთის) ოფიციალური სახელმწიფო დროშის ისტორია საუკუნეებს ითვლის და დიდი ბრიტანეთის სამი ნაწილის – ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის შუასაუკუნეებისდროინდელი სიმბოლოების შერწყმას წარმოადგენს. მისი პროპორცია შეადგენს 1:2.

წმინდა გიორგის დროშა (ინგლისი)+წმინდა ანდრიას დროშა (შოტლანდია)+წმინდა პატრიკის დროშა (ირლანდია)=დიდი ბრიტანეთის დროშა („უნიონ ჯეკი“)



აქედან გამომდინარე, ვინაიდან ფეხბურთის (რაგბის) ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში ინგლისისა და შოტლანდიის გუნდები დამოუკიდებლად ასპარეზობენ, გულშემატკივრები ეროვნულ (ისტორიულ) დროშებსაც იყენებენ. ამასთან, ინგლისელები წმინდა გიორგის დიდი ჯვრის კუთხეებში, საკმაოდ ხშირად, გარკვეულ სიმბოლოებს ამატებენ (მათ შორის, მცირე ჯვრებსაც...), რის გამოც სტადიონზე გამოფენილი დროშები, ძალიან ემსგავსება „ქართულ ხუთჯვრიან დროშას“... ინგლისელებმა დროშების „ნათესაური კავშირი“ ჯერ კიდევ მაშინ შენიშნეს, როდესაც ახალი „ნაციონალური დროშის“ პროექტი თბილისის საკრებულოს შენობის თავზე თვითნებურად აღიმართა...

პოპულარულ ბრიტანულ გაზეთ „ობსერვერში“ („მიმომხილველი“) გამოქვეყნებულ სტატიაში აღინიშნა, რომ ქართველებს ხუთჯვრიანი დროშის დაკანონების შემთხვევაში, პრობლემები იგლისელებთან მატჩის დროს შეექმნებოდათ. ამასთან, მსგავსი დროშის მიღება იმის გამოც არ გვირჩიეს, რომ ინგლისელი „ფანები“ ევროპაში საკმაოდ ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ...

ფაქტია ისიც, რომ ერთი დიდი და მის კუთხეებში გამოსახული ოთხი ჯვარი XI საუკუნიდან იერუსალიმის (ქრისტეს) სიმბოლოდ არის აღიარებული, მაგრამ სანამ ფრანგები და ებრაელები აირჩევდნენ, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებოდა (მათ შორის, კილიკიის არმენიასა და რუმის სასულთნოში...). თსუ პროფესორის, თედო დუნდუას დასკვნითაც: „თეთრ ფონზე გამოსახული ხუთი ჯვარი კათოლიკური სამყაროს ინტეგრაციული სიმბოლოა და ის ჯვაროსნულ ეპოქაში შეიქმნა“ – („ძელი ცხოვრებისაი და მისი ვარიანტები“, თბილისი, 2000). აკადემიკოსმა გურამ შარაძემაც არაერთხელ განაცხადა საქვეყნოდ, რომ ქართველების „ნაციონალურ დროშად“ მიჩნეულ ხუთჯვრიან სიმბოლოს ჯვაროსნების მიერ დაფუძნებული ორდენები იყენებდნენ (დაინტერესებულებს შეუძლიათ ინტერნეტში „TEMPLAR FLAG“ აკრიფონ და სურათები დაათვალიერონ...), რის გამოც აკაკი ბაქრაძე გვაფრთხილებდა „ფრთხილად, დროშის ქურდობა არ დაგვწამონო“ (გაზეთი „საქართველო“, №54, 1997 წელი).

ვინაიდან ფეხბურთი თურქეთშიც საკმაოდ პოპულარული გახდა, როგორც „ნაპოლის“, ასევე საქართველოს ნაკრებს ჩვენს სამხრეთელ მეზობლებთანაც მოუწევთ სპორტული პაექრობა. არადა, ჰანს-პეტერ გასერის „საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის“ სახელმძღვანელოში, რომელიც ქართულ ენაზეც არის გამოცემული, აღნიშნულია, რომ 1949 წელს გამართულ გაეროს კონფერენციაზე გამოსვლისას თურქეთის წარმომადგენელმა საჯაროდ განაცხადა, რომ „თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი შეურაცხყოფას აყენებს მუსულმანთა რელიგიურ გრძნობებს“, რის გამოც დამპყრობელ „ჯვაროსანთა“ სიმბოლოს ვერც ჰუმანიტარული მიზნით დაუშვებდა საკუთარ ტერიტორიაზე (შედეგად, თურქეთში წითელი ნახევარმთვარე გამოიყენება). იმავე მიზეზით წითელი ჯვრის ორგანიზაცია ისრაელსა და ირანშიც განსხვავებული სიმბოლოებით საქმიანობს, რომლებიც ჟენევის კონვენციებით არიან დაცული (ექვსქიმიანი ვარსკვლავი და რომბი). აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არ გამოიფინა „საქართველოს დროშა“ 16 თებერვალს სტამბოლში გამართული მატჩის დროს („ტრაბზონსპორმა“ შვეიცარიულ „ბაზელს“ უმასპინძლა), იმ ქვეყნების დროშებთან ერთად, რომლებმაც თურქეთს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში აღმოუჩინეს დახმარება...

ვინაიდან „ნაპოლის“ წარმატებაში ნიგერიელ ოსიმენსაც მიუძღვის წვლილი, ეჭვი არ მეპარება, ისიც არანაკლები პატრიოტია და იცის, რომ მისი სამშობლოს (მოსახლეობამ 200 მილიონს გადააჭარბა...) ეროვნული დროშა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, 1960 წელს, კონკურსის საფუძველზე შეირჩა, რომელშიც უნივერსიტეტის სტუდენტის პროექტმა გაიმარჯვა. შედეგად ნიგერიის სახელმწიფო დროშა იტალიურის მსგავსია (წითელი ფერი მწვანეთია შეცვლილი, რომელიც „ბუნების სიმდიდრეს“ ასახავს, ხოლო თეთრი ზოლი მშვიდობის სიმბოლოა...). ცხადია, „ნაპოლის“ დანარჩენ არაიტალიელ ფეხბურთელებსაც ეცოდინებათ ეროვნული დროშების ისტორია, თუმცა, როდესაც გუნდი იტალიის ჩემპიონი ხდება, ოფიციალური ღონისძიების მონაწილეებმა, სასურველია, მხოლოდ ამ ქვეყნის, ქალაქის ან გამარჯვებული გუნდის სიმბოლოები გამოიყენონ. მით უმეტეს, გაუმართლებელია „საქართველოს ხუთჯვრიანი დროშით“ გამოჩენა იმ დროს, როდესაც, მგონი, ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, რომლის არც მოქალაქეების და არც ხელისუფლების წარმომადგენელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო („ეროვნული“) დროშის წარმომავლობა...

**ფაქტია, რომ სახელმწიფო სიმბოლიკასთან დამოკიდებულებით „მაშასადამე ევროპელებს“ სამართლებრივი კულტურის მხრივ აფრიკელებმაც გვაჯობეს... შედეგად, ნიგერიელებმა ეროვნული დროშის წარმომავლობაც იციან და მისი შინაარსიც, ხოლო „საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა“, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიმბოლოა, რომელიც არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ 2004 წლის 14 იანვარს არის „დაკანონებული“ (პარლამენტში 1999 წელს არჩეულ დეპუტატებს უფლებამოსილების ვადა 2003 წლის 22 ნოემბერს ამოეწურათ...)**

ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ კვარაცხელია საქართველოდანაა, ოსიმენი – ნიგერიიდან, ლობოტკა – სლოვაკეთიდან, ხოლო ჟელინსკი – პოლონეთიდან, რბილად რომ ვთქვა, არაგონივრულად და თანაგუნდელების (მათ შორის, იტალიელების...) მიმართ არაკორექტულადაც მიმაჩნია, ბურთის გატანა ან „ნაპოლის“ მორიგი წარმატება საკუთარი ქვეყნების დროშების ფრიალით აღნიშნონ. მით უმეტეს, თუ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილის ეროვნული დროშით გამოჩენა, შეიძლება, გასაგები იყოს, ფეხბურთი გუნდური თამაშია და ბურთის გატანა ან ჩემპიონატში გამარჯვება კონკრეტული კლუბის ან ქვეყნის ნაკრების 11-ვე მოთამაშის მიერ მიღწეული შედეგია.

**ამდენად, მადლობა ხვიჩას, რომ ქართველები გვასახელა და გაგვახარა, მაგრამ ვინაიდან ვგულშემატკივრობ და მის მიმართ კეთილგანწყობილი ვარ, ვურჩევდი, „საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის“ გამოყენებისგან ოფიციალურ ღონისძიებებზე მაინც შეიკავოს თავი... მით უმეტეს, რომ მისი დახმარებით, შესაძლებელია, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატების საფინალო ეტაპებზე ინგლისის ნაკრებსაც შევხვდეთ ან უემბლის სტადიონზე მოგვიწიოს თამაში... იმედი, მაქვს, მანამდე ჩვენი პარლამენტიც ჩაატარებს კონკურსს და სახელმწიფო („ეროვნული“) დროშა ისეთივე გამორჩეული იქნება, როგორიც ქართველი ერი და მისი მამულია...**



**ავთანდილ კახნიაშვილი,**
სამართლის დოქტორი.


„გულთა კავშირის“ პრეზიდენტი, ქალაქის მერი, სოფლის გამგებელი, ექიმი მერაბ კვიცარიძე და ადგილობრივები

# ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა ზეცაშია გადაწყვეტილი...

**ყველა რელიგია მოუწოდებს ადამიანებს ურთიერთდახმარებისკენ. ალბათ ეს ერთადერთი საკითხია, რომელშიც ისინი თანხმდებიან. ამიტომ ყველა ქველმოქმედება და გულმოწყალება, რომელიც ჩვენს თვალწინ ხორციელდება, მცირე, თუნდაც დიდი, ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გამოხატულებაა და დარწმუნებული ვარ, ღმერთი ხარობს თავისი შექმნილის მიერ განხორციელებული ამ უდიდებულესი აქტით.**

**12 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიში სწორედ ასეთი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სასწაული განხორციელდა ქველმოქმედების სახით.**

## „გულთა კავშირის“ კიდევ ერთი ქველმოქმედება, როგორც ჭეშმარიტად ქველი ქმედება...

ამ სოფელში გასულ წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით თანამედროვე სტანდარტების დონეზე ახალი სამედიცინო ამბულატორია აშენდა.

უფასო სამედიცინო შემოწმება სწორედ ამ ახალ ამბულატორიაში ჩაუტარდა მოსახლეობას.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ მიერ ორგანიზებული აქცია ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის თაოსნობით განხორციელდა.

**მერაბ კვიცარიძე, დ. ნაზარიშვილის სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორი:** „ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ პირველადი ჯანდაცვის სამი ძირითადი პრიორიტეტი – ხელმისაწვდომობა, უწყვეტობა და ხარჯთეფექტურობა, დღეს სამივეა აქ წარმოდგენილი...

მოსახლეობას გაუკეთდა ანალიზები, პაციენტები შეამოწმეს კანის ექიმმა, კარდიოლოგმა, თერაპევტმა, მიეცათ დანიშნულება, შესანიშნავი ადგილობრივი ექიმების, ქალბატონების ხათუნა სტურუას და ხათუნა კობახიძის ხელშეწყობით ჩვენი დღევანდელი მიზნები შედარებით ადვილად განსახორციელებელი გახდა.

არ ვაპირებთ, მხოლოდ ასეთი აქტებით შემოვიფარგლოთ. დაგეგმილი გვაქვს ნაბაკევის თემის ხუთი სოფლიდან ხუთ-ხუთ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ოჯახებს ჰუმანიტარული დახმარების სახით საკვები, ტანსაცმელი და სხვადასხვა სახის დახმარება გავუწიოთ.

საბავშვო ბაღში მივავლენთ პედიატრს და მათაც, შეძლებისდაგვარად, ბავშვთა კვების პროდუქტებით, ტანსაცმელით დავეხმარებით.

მინდა მადლობა ვუთხრა ექიმებს, მთლიანად მოსახლეობას, სამტრედიის მერს – ბატონ დავით ბახტაძეს, მადლობა მერის წარმომადგენელს, ბატონ ოთარ წულეისკირს.“

**დავით ბახტაძე, სამტრედიის მუნიციპალტეტის მერი:** „სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობამ განაპირობა ის გარემოება, რომ კერძო სამედიცინო დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან, რომ ადგილობრივ მოსახლეობას დროული სამედიცინო მომსახურება გაუწიონ. კვლევებში აღმოუჩინონ დახმარება. დღევანდელი დღე არის თვალსაჩინო მაგალითი მსგავსი აქტივობის, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ნაზარიშვილის სახელობის კლინიკის ხელმძღვანელს, ბატონ მერაბ კვიცარიძეს და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელს, ბატონ რობერტ ადარს“.

**რობერტ ადარი:** „ფონდი „გულთა კავშირი“ 2017 წელს შეიქმნა, 6 წლიწადია, ამ ორგანიზაციას ვუძღვები. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეწევით ქველმოქმედებას. თუმცა ფინანსური პრობლემები არის, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს არ გვაბრკოლებს, ჩვენ არ ვჩერდებით, დღევანდელი დღე ამის დასტურია.

სპეციალურად ჩამოვედი ისრაელიდან, რომ ქველმოქმედებაში მიმეღო მონაწილეობა. ამ საქმეში, საქართველოში სხვა კეთილი სურვილების მქონე ადამიანთან ერთად, აქტიურად გვიდგას გვერდით ბატონი მერაბ კვიცარიძე – კარგი სპეციალისტი და პატრიოტი კაცი, ჭეშმარიტი ქველმოქმედი. ამ თვისებების გამო, ებრაელ და ქართველ ხალხს შორის დაუღალავი მოღვაწეობის აღსანიშნავად და მომავალშიც მის გასაგრძელებლად, ბატონ მერაბს ისრაელის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სერთიფიკატი ჩამოვუტანეთ. ამიერიდან მას მიენიჭა ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გულთა კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტის წოდება“.

**ზაალ გოტკოველი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, მწერალი, მთარგმნელი:** „მინდა აღტაცება გამოვხატო იმის გამო, რაც დღეს აქ ხდება. ეს არის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება იმისა, თუ როგორ უნდა უბერონ სული ადამიანებმა იმ 26-საუკუნოვან ძმობას და მეგობრობას, რომელსაც საფუძველი ელიოზმა ჩაუყარა...

მაგალითი არის რობერტ ადარი, რომელიც 30 წელიწადია, თავის ისტორიულ სამშობლოში წავიდა და თითქოს უნდა მონატრებოდა აქაურობა, მაგრამ კი არ მონატრებია, არამედ აქ არის, არასად არ წასულა. წელიწადში ალბათ ექვსჯერ საქართველოშია და როგორც შეუძლია და რითაც შეუძლია ისევ ჩვენ, ქართველებს გვეხმარება, სიტყვით, საქმით, მოფერებით, გულისხმიერებით, არა მხოლოდ ნაცნობებს, არამედ სრულიად უცნობ ადამიანებს. ამის დასტურია დღევანდელი აქციაც“.

**ოთარ წულეისკირი, მერის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში:** „მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ბატონ მერაბ კვიცარიძეს და „გულთა კავშირის“ ხელმძღვანელს ბატონ რობერტ ადარს, დღევანდელი დღე დიდი თანადგომა და იმედია ჩვენთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის“.

**მადონა ოდილავაძე, ფიზიოთერაპევტი, აქციის მონაწილე:** „ყოველთვის მოხარული ვიქნები მსგავს აქციებში მონაწილეობით. ეს არა მხოლოდ წმინდა ქველმოქმედებითი ხასიათის აქტია, არამედ რელიგიურიც. ყველანი ღვთის შვილები ვართ და რითიც შეგვიძლია, ერთმანეთს იმით უნდა მივეხმაროთ“.


სოფლის ახალი ამბულატორია

„გულთა კავშირის“ ეგიდით ეს უკვე მეცხრე აქციაა. ასეთივე ტიპის ღონისძიებები განხორციელდა ბანძაში, ონში, ორგანიზაცია გეგმავს აქტივობებს ლაილაშში და სამეგრელოს მხარეშიც.

**12 მაისს პატარა სოფელში – ჩხენიში კიდევ ერთხელ აფრიალდა ისრაელისა და საქართველოს მეგობრობის დროშა, კიდევ ერთხელ გაჩნდა იმედი, რომ საქართველო მარტო არ არის, ჩვენი წინაპრების ნამოქმედარ კეთილ საქმეებს უკვალოდ არ ჩაუვლია, ქართველ ებრაელებს არ ავიწყდებათ მათი მეორე სამშობლო – საქართველო, ქართველი ხალხი, ჩვენი ერთობა მარადიულია, რადგან, როგორც იმ დღეს ბატონმა მერაბ კვიცარიძემ თქვა: ჩვენი მეგობრობა ზეცაშია გადაწყვეტილი და ზეცაში გადაწყვეტილს, მიწაზე ვერაფერი წაშლის...**

**ირანდა კალანდაძე**

## ვიქტორ ორბანი: თუ ევროკავშირი თავის მისიას ვერ ასრულებს, მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას?



**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ქალაქ ვესპრემში განაცხადა, ევროკავშირმა უნდა გააუქმოს რუსეთისთვის დაკისრებული სანქციები.**

მისი თქმით, რუსეთის სანქციებმა გამოიწვია რეცესიის გაღრმავება უნგრეთში.

**„ევროპული თანამშრომლობის თანამედროვე ფორმას ორი მისია ამოძრავებდა: მშვიდობა და კეთილდღეობა. თუ მას არ შეუძლია, შეასრულოს თავისი ორი თავდაპირველი მისია, მაშინ რა აზრი აქვს ევროკავშირის არსებობას?“**, – განაცხადა მან.

უნგრეთის პრემიერმა მოუწოდა ევროკავშირს, განიხილოს უკრაინისთვის დახმარების შეწყვეტა, როგორც ომის დასრულების გზა.

## სამხრეთაფრიკელები ამერიკის ელჩის წინააღმდეგ

**სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ის ელჩს რუსეთის შეიარაღებაში ბრალდების გამო უწყებაში იბარებს.** სამხრეთ აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა რუბენ ბრიჯეტმა ქვეყანა რუსეთისთვის იარაღის მიწოდებაში დაადანაშაულა. სამხრეთ აფრიკის მთავრობა აღნიშნული ბრალდების დასადასტურებლად ახლა მტკიცებულებებს ითხოვს.



გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მინისტრი ნალედი პენდორრი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ენტონი ბლინკენსაც გაესაუბრება ამავე საკითხთან დაკავშირებით. თეთრი სახლი აცხადებს, რომ ისინი მუდმივად მოუწოდებენ ქვეყნებს, არ მიაწოდონ იარაღი რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ ომში.

## უსახლკაროდ დარჩენილთათვის განკუთვნილი კარვები... გაყიდეს

**თურქეთის „წითელი ნახევარმთვარის“ ხელმძღვანელმა ქემერ კინიკმა, რომელიც სამი თვის წინ მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთათვის განკუთვნილი კარვების გაყიდვაში ამხილეს, თანამდებობა დატოვა.**

გაირკვა, რომ „წითელმა ნახევარმთვარემ“ მიწისძვრის პირველ დღეებში კარვები სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას, AHBAP-ს მიჰყიდა იმის ნაცვლად, რომ ისინი პირდაპირ სტიქიის ზონაში გაეგზავნა. სტიქიის რეგიონში მცხოვრები ადამიანები კი მიწისძვრის პირველ დღეებში დაგვიანებული რეაგირების გამო ჩიოდნენ და პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებდნენ.

მომხდარს გამოეხმაურა თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი: **„არ შეიძლება, „წითელმა ნახევარმთვარემ“, კარვები გაყიდოს. მათ დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ ეს შეცდომა“.**

მედიის ცნობით, ქემერ კინიკმა თავდაპირველად თქვა, რომ მას ინფორმაცია ჰქონდა კარვების გაყიდვის შესახებ და ეს ფაქტი შეაფასა, როგორც „ლეგალური“. მისივე თქმით, კარვების გაყიდვით საქველმოქმედო ორგანიზაციის შვილობილი კომპანია იყო დაკავებული. მოგვიანებით კი უარყო, რომ კარვების გაყიდვის შესახებ იცოდა და განაცხადა, რომ ამას თავიდან აიცილებდა, შესაბამისი ინფორმაცია რომ ჰქონოდა.



ტრიუმფი

# ტატამის ლომები



**ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე დღეს ოქრომ საქართველოს ეროვნული ნაკრებიც (მთავარი მწვრთნელი – ლაშა გუჯეჯიანი) გააბრწყინა (81 კგ). ნავსი ტატო გრიგალაშვილმა გატეხა, რომელიც პირველია ჯვაროსანთაგან, ვინც დამოუკიდებლობის პერიოდში მეორედ, თანაც ზედიზედ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ასეთივე პირადი მონაგრით ჯარჯი ზვიადაურიც გამოირჩევა, ოღონდ მან დუბლი საბერძნეთის სახელით შეასრულა, ნიკო შერაზადიშვილის ტრიუმფის აღსანიშნავად კი ესპანეთის ჰიმნმა გაიჟღერა.**

ისიც სათქმელია, რომ უკვე შორეულ – 1979 და 1981 წლებში პლანეტაზე უძლიერესი თემურ ხუბულური გახდა, ოღონდ მაშინდელი ჯილდოები საბჭოთა კავშირის გუნდის ყულაბაში ჩაჩხრიალდა. მაროკოელი აშრაფ მოუტი (იპონით), ტაჯიკი შოდმონ რიზოევი, ავსტრიის ქვეშევრდომი ქისტი ვაჩიდ ბორჩაშვილი (დამატებით დროში ოქროს ქულით), სამხრეთკორეელი იონვან ლი (35 წამში ორი ვაზარით, ანუ იპონით!) და ფინალში მრისხანე ტრადიციული ბელგიელი მეტოქე მატიას კასე (ვაზარით) – ასეთი გახლავთ ტაიფუნში გადაზრდილი „გრიგალას“ მიერ არაბულ ტატამზე შეკრული თაიგული. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი კოლექციაა, რომელსაც გვირგვინი სატიტულო უთანასწორო ბრძოლაში ერთი ამოსუნთქვით დაწერილმა ისტორიამ დაადგა.

დიახ, ეს გახლდათ საამაყო კარიერაში ტატოს მე-7 შეხვედრა კასესთან და მე-5 გამარჯვება, მათ შორის მუნდიალების გადამწყვეტ რაუნდში – მიჯრით მე-3 და მე-2 წარმატება!

თურმე ეს ჟურნალი ყოფილა – მეხი 90 კილოში ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ბექაურისა და ევროპის ჩემპიონ ლუკა მაისურაძის ქართული ფინალით გავარდა, რაც ძიუდოს ისტორიაში მეოთხე მსგავსი შემთხვევაა: აქამდე მუნდიალის ოქრო ერთმანეთში ორმა იაპონელმა, ორმა ყაზახმა და უკვე აღარარსებული ქვეყნის – საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა გაითამაშეს.

გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, რომ ჩვენი ოლიმპიური იმედები ახლახანს თბილისის გრანდ სლემის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება ბექაურმა მოიპოვა, ამჯერად კი მაისურაძემ დამატებით დროში ვაზარით შეფასებული გდებით რევანში აიღო და კიდევ ერთი უმაღლესი ტიტული მოიხვეჭა. ისიც სათქმელია, რომ ერთბაშად 2 ოქრო პირველად გვხვდა. დავძენთ, რომ იგი საქართველოდან საიუბილეო – მე-10 მსოფლიო ჩემპიონია, რომელთა ნადავლიც 12 ოქროა (2-2 ტრიუმფატორი ხუბულურისა და გრიგალაშვილის სახით გვყავს). შედეგად, ვაჟთა გუნდური ჩათვლაში გავიმარჯვეთ.

ალბათ, დაგაინტერესებთ ჯვაროსანთა მიერ საპატიო კვარცხლბეკზე აბიჯებამდე განვლილი გზაც: ლაშამ ზედიზედ დაამარცხა ტაჯიკი კომრონშონ უსტოპირიონი (იპონით), სერბი ნემანია მაიდოვი (ვაზარით), ნეიტრალური დროშით მოჭიდავე მანსურ ლორსანოვი (2 ვაზარით) და იაპონელი სანშირო მურაო (მის ვაზარის 2 ვაზარითვე უპასუხა), ხოლო პლანეტის ახალმა გვირგვინოსანმა იპონებით მოუგო უნგრელ როლანდ გოზის და თურქ მიხაელ ზგანკის, დამატებით დროში – ნიდერლანდელ ნოელ ვან ტენდსა და ვაზარით – იტალიელ კრისტიან პარლატის.

იმედი გვქონდა, რომ ორ ხმაში 100 კილოშიც დავაგუგუნებდით ქართულ ჰანგებს, მაგრამ...

ჩვენი გუნდის ვეტერანი კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი სათანადოდ არ აღმოჩნდა მომზადებული ტურნირისთვის და პირველ ბრძოლაში მძიმე გამარჯვების შემდეგ მეორეში შიდოებით დამარცხდა, ხოლო ილია სულამანიძემ ერთი დაბრკოლებით მეტი დაძლია და ბრინჯაოს რეპეშაჟიდან შეუტია. სამწუხაროდ, აქ საქმეში უკვე მსაჯები ჩაერივნენ, რომლებმაც ჯერ პირველი გდება დაუტოვეს შეუფასებელი აზერბაიჯანელ კოცოევთან, მოგვიანებით კი ძლივს გამეტებული ვაზარი გაუუქმეს. დასკვნით +100 კგ წონაში უიღბლო კენჭისყრას გურამ თუშიშვილიც ემსხვერპლა.



აშკარა, დაუჯერებელი

MEN'S EHF EURO 2024

# ლოგიკური სასწაული

**ჩვენთვის ასე ტკბილად გასახსენებელ დიუსელდორფში გამართულმა წილისყრამ გამოავლინა ევროპის ისტორიულ-სადებიუტო ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები ა ჯგუფში. თვით ფორუმს გაისად 10-დან 28 იანვრის ჩათვლით გერმანია უმასპინძლებს, ტიტე კალანდაძის გაწვრთნილი გუნდი კი მანჰეიმში საეტაპო მნიშვნელობის შეხვედრებში ასეთი თანმიმდევრობით ითამაშებს:**

**11 იანვარი: საქართველო – ნიდერლანდები.**
**13 იანვარი: საქართველო – შვედეთი.**
**15 იანვარი: საქართველო – ბოსნია.**

როგორც ყოველთვის, პლეი-ოფში დასახელებული კვარტეტის პირველ-მეორეადგილოსნები გავლენ.

თუ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს მოვიშველიებთ – მითხარი, ვინ არის შენი თავკაცი და გეტყვი, რას წარმოადგენ სპორტულ სამყაროში, – მაშინ ტიტე კალანდაძის შთამბეჭდავი სადარბაზო ბარათის გაცნობით დავიწყოთ: პირველი მწვრთნელი – მერაბ მეტრეველი (თბილისის ჰურევესტნიკი). საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, მაკედონიის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ევროთასების ნახევარფინალისტი, იტალიის ჩემპიონი და თასის ფინალისტი, თურქეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ისლანდიის თასის ორგზის მფლობელი და ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე. დაგვეთანხმებით, ხელბურთის პელეს – ჯემალ ცერცვაძისა და ოლიმპიური ჩემპიონის – ალექსანდრე ანპილოგოვის ღირსეული მემკვიდრის საკადრისი ბიოგრაფიაა.

რაც შეეხება მის შეგირდთა სენსაციურ მიღწევას, ბედნიერი დამრიგებელი ამბობს: „უძლიერეს შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით, რადგან უნგრეთმაც, შვეიცარიამაც და ლიეტუვამაც შარშანდელი ევროფორუმის დასკვნით რაუნდში იასპარეზეს, ჩვენ კი თაობათა ცვლის საწყის მტკივნეული პროცესის შემდეგ ახალგაზრდული შემადგენლობით მოგვიწვია უმნიშვნელოვანესი გამოცდის ჩაბარება, რომლის სასტარტო შვიდეულის საშუალო ასაკიც 22 წელია(!).

ახდენილი ოცნება ლეგიონერთა სიმრავლესაც უკავშირდება – 16-დან 11 ჯვაროსანი უცხოეთის კლუბებში თამაშობს და იმ დროს, როცა შეკრებისა და სათანადო მომზადების დეფიციტი გვაქვს (ეს შესარჩევი ციკლის საწყის პერიოდს ეხება), მათ უკეთესი ფიზიკური კონდიციები და სათამაშო პრაქტიკა აღმოაჩნდათ. ვითარება ზამთარში გამოსწორდა, როცა ჯერ თბილისში ვივარჯიშეთ ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ საბერძნეთში გავმართეთ ორი სპარინგი. აღნიშნული ვიზიტი ორივე გუნდისთვის ნაყოფიერი გამოდგა – ჩვენც და ელადელებიც პირველად ვითამაშებთ კონტინენტის პირველობაზე.

ბუდაპეშტში მოპოვებული გამარჯვება კი მართლაც ოცნების სფეროდან იყო. მეტმა მოტივაციამ ჯგუფში ვადამდელ უძლიერეს უნგრეთის გუნდთან ნამდვილი სასწაული მოგვახდენინა.

**გპირდებით – ეს ბიჭები კიდევ ბევრჯერ გააოცებენ ევროპას!“**

ვიამაყოთ!

# ისტორიის ბინადარი



**მოხდა ის, საითაც ქართული რაგბი გეგმაზომიერად მიდიოდა ათწლეულების განმავლობაში – შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართავ მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსნებთან ერთად ჩვენს სამშობლოს მართლაც რომ ტოპ-კლასის ახალგაზრდა მსაჯი ნიკა ამაშუკელი წარმოადგენს!**

მოგეხსენებათ, როგორი კონსერვატული ორგანიზაციაცაა მსოფლიო რაგბი და მით უმეტეს დასაფასებელია ის ნდობა, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, თანაც ტიერ2-ის ქვეყნის შვილს მის ელიტურ კოლეგათა ურთულეს კონკურენციაში გამოუცხადეს.

დავძენთ, რომ 19 რჩეული რეფერიდან 12 მინდორზე იმსაჯებს, 7 კი კიდეებზე და ნიკა მთავარი არბიტრი იქნება.

**ვულოცავთ!**

# ორიოდე სიტყვით

## ფარიკაობა

**მადრიდი. მსოფლიო თასი. ხმალი. I ადგილი** – სანდრო ბაზაძე. ქართველმა მუშკეტერმა ნახევარფინალში ფრანგი მაქსიმ პიანფეტი დაამარცხა – 15:11, ხოლო ფინალში იტალიელ რიკარდო ნუჩიოს სძლია – 15:6. ჩვენი გუნდის ლიდერი ზედიზედ მე-11 ტურნირზე ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე.



## კრივი

**ტაშკენტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ბეჟან ჭიჭინავა)** – 3 მედალი (ისტორიაში საუკეთესო შედეგი). **ვერცხლი** – სახილ ალახვერდოვი (48); **ბრინჯაო** – ლაშა გურული (67), გიორგი ყუშიტაშვილი (86).

## ნიჩბოსნობა

**სეგედი (უნგრეთი). მსოფლიო თასი. კაიაკი. პირველი ეტაპი. 200 მეტრი. ბრინჯაო** – ბადრი ყაველაშვილი (36, 65).

## ფეხბურთი

**სლოვაკეთის ჩემპიონატი. ოქრო** – გურამ კაშია, გიორგი ჩაკვეტაძე, ჯაბა კანკავა (სლოვანი). მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ვაისი. აზერბაიჯანის ჩემპიონატი. ოქრო** – ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი).

## კალათბურთი

**ევროლიგა. ოთხთა ფინალი (კაუნასი). 19-21 მაისი. პლეი-ოფი.** ბარსელონა – რეალი, ოლიმპიაკოსი – მონაკო. ამ უკანასკნელთა მთავარი მწვრთნელის ასისტენტია **მანუჩარ მარკოიშვილი. მალაგა (ესპანეთი). ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი.** უნიკახა – ბონი 67:69, ჰაპოელი (იერუსალიმი) – ტენერიფე 69:68 (გიორგი **შერმადინმა** კუნძულელებს 18 ქულითა და 6 მოხსნით ულიდერა).

## წყალბურთი

**ჩემპიონთა ლიგა. XIII ტური.** ოლიმპიაკოსი – დინამო (თბილისი) – 19:10. სტუმართაგან 6(!) გოლი ბესო ახვლედიანმა გაიტანა, მათ შორის 3 – პენალტით.

# ისევ თავზეხელაღებული თაღლითები!



## საქართველოს პროკურატურამ ტრანს-ნაციონალური დანაშაულები გახსნა!

გამოვლენილია დიდი ოდენობით თანხების თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ორი ფიზიკური და ორი იურიდიული პირის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ფინანსურ ინსტიტუტში თანხის დაბანდებისას მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღების მიზნით, ინტერნეტ-სივრცეში ყალბი რეკლამა განათავსეს და დაზარალებულებს – აშშ-ის მოქალაქეებს დიდი ოდენობით თანხები საქართველოში, მათ მიერვე დაფუძნებული საწარმოს საბანკო ანგარიშებზე მოტყუებით ჩაარიცხვინეს.

აღნიშნული გზით, ერთ-ერთი ბრალდებული და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები, დაზარალებულთა კუთვნილ დაახლოებით 1 820 000 აშშ დოლარს დაეუფლნენ.

შემდგომში, ერთ-ერთმა ბრალდებულმა კანონიერი სახის მიცემის მიზნით, თანხის ნაწილი, ფიქციური დანიშნულებებით და ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე, დანაწევრებით გადარიცხა სხვადასხვა ქვეყანაში მასთან დაკავშირებული იურიდიული პირების ანგარიშებზე, რა გზითაც 1 770 000 აშშ დოლარის ლეგალიზაცია მოახდინა.

ჩატარებული გამოძიებით ასევე გამოვლენილია კიდევ ერთი ტრანსნაციონალური დანაშაული. საფრანგეთში მოქმედი საწარმოების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ ოფშორული კომპანია დაარეგისტრირა და საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებაში საწარმოს ანგარიშები გახსნა.

ბრალდებულმა, საფრანგეთში მოქმედ საბანკო დაწესებულებებს მათი კლიენტების სახელით, სხვადასხვა მიზნობრიობით თანხის საქართველოში, მის მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვასთან დაკავშირებით ცრუ შეტყობინებები გაუგზავნა, რა გზითაც აღნიშნული საწარმოების კუთვნილ 445 000 ევროს მოტყუებით დაეუფლა.

შემდგომში, ბრალდებულმა, ფიქციური დანიშნულებებისა და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილი, დანაწევრებით გადარიცხა სხვადასხვა ქვეყანაში მასთან დაკავშირებული პირების საბანკო ანგარიშებზე, რა გზითაც 100 000 ევროს ლეგალიზაცია მოახდინა.

ბრალდებული ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითობისა და ჯგუფურად ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იურიდიულ პირებს ბრალდება წარედგინათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს.

ბრალდებულ ფიზიკურ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდათ.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით.

**სანთელი**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უსამძიმრებს გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს, ბატონ ალეკო ასლანიშვილს დისწულის

**ზაზა ჭანიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სამეგობროს.

## რუსთავში, მტკვარში ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს

მედიის ცნობით, კაცის ცხედარი მდინარემ ე.წ. ახალი ხიდის მიმდებარედ გამორიყა, რისი შემჩნევის შემდეგაც, მოქალაქე შესაბამის სამსახურებს დაუკავშირდა.

ადგილზე სამაშველო სამსახურისა და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 30 წლამდე ახალგაზრდა ორი კვირის წინ თბილისში გაუჩინარდა და მას ოჯახი ამ ხნის განმავლობაში ეძებდა.

## გამოიჭირეს „ბიძიებო, დეიდებოს“ მფარველები



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 4 პირი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შს სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, 2001 წელს დაბადებული დ.ფ., 1971 წელს დაბადებული გ.ფ., 1998 წელს დაბადებული ნ.გ. და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი 2000 წელს დაბადებული მ.კ. არასრულწლოვანით ვაჭრობის ბრალდებით არიან დაკავებულები. დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები დ.ფ., გ.ფ., ნ.გ. და მ.კ მცირეწლოვან ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და შრომით ექსპლუატაციას სისტემატურად ახდენდნენ. აიძულებდნენ გაეყიდათ ყვავილები და ეთხოვათ მოწყალება. მიღებულ თანხას კი თავად ითვისებდნენ. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანები არ დაემორჩილებოდნენ დაკავებულების მითითებებს მათ სიტყვიერად და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

# სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება!

## TV პირველი ცრუობს

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ტელეკომპანია „TV პირველის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმცროსი დეტექტივის შ.მ.-ს მიერ მოქალაქე გ.გ.-ს დაზიანების ფაქტს ეხებოდა.

აღნიშნულ საქმეზე „TV პირველის“ ჟურნალისტმა, მარიამ გაფრინდაშვილმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ხუთშაბათს 14 შეკითხვით წერილობით მიმართა, რასთან დაკავშირებითაც უწყებამ მას ასევე წერილობით ამომწურავი პასუხები გასცა. თუმცა, უწყების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გაცემული დეტალური ინფორმაცია ჟურნალისტმა არ გააჟღერა, რაც მიანიშნებს, რომ სიუჟეტის მიზანი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დისკრედიტაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იყო.

გვსურს, განვმარტოთ, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმცროსი დეტექტივის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების შედეგად მოქალაქე გ.გ.-ს დაზიანების ფაქტზე გამოძიება 2023 წლის 31 მარტს დაიწყო.

ამ დროისთვის გამოძიების ხელთ არსებული მასალებით დგინდება, რომ 2023 წლის 31 მარტს, ღამის საათებში უმცროსი დეტექტივი, მეწყვილესთან ერთად, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას №75ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, რა დროსაც ქუჩაზე, პოლიციელების სიახლოვეს იარაღის მაგვარი საგნის დემონსტრირებით მოქალაქე გ.გ.-მ ჩაიარა, რის შემდეგაც მას პოლიციის თანამშრომლები დაედევნნენ. დევნის პროცესში უმცროსი დეტექტივის მიერ იარაღიდან ორი გასროლა განხორციელდა, რის შედეგადაც გ.გ.-მ დაზიანება ფეხის არეში მიიღო. იმავე დღეს მოქალაქეს პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია და გაწერილი იქნა კლინიკიდან.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საქმეზე ტარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება. მოწმის სახით გამოიკითხნენ ინციდენტში მონაწილე პოლიციელები და შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მყოფი პირები.

რაც შეეხება პოტენციურ დაზარალებულს, გამოძიების პირველივე დღეებიდან მოქალაქე გ.გ.-მ, რომელმაც მომხდარი ინციდენტის შედეგად ფეხის არეში მიიღო დაზიანება და რომლის მიერ მოწოდებულ ობიექტურ ინფორმაციასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიების მიმდინარეობასა და შედეგებზე, უარი განაცხადა გამოძიებასთან თანამშრომლობასა და საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე. საგამოძიებო სამსახურის არაერთი მცდელობის შემდეგ, გ.გ. გამოიკითხა გამომძიებლის მიერ, რომელმაც განმარტა, რომ პოლიციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, პოლიციის თანამშრომლის მიერ გასროლის შედეგად დაზიანება არ მიუღია და თავს დაზარალებულად არ მიიჩნევს“.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჟურნალისტს მიმდინარე გამოძიების თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და განუმარტა, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები არ ამოწურულა და მიმდინარე ექვსი ექსპერტიზიდან არც ერთი ექსპერტიზა დასრულებული არ არის, აღნიშნულმა ტელევიზიამ უწყება მიზანმიმართულად საქმის არაჯეროვან გამოძიებასა და გადაწყვეტილების შეგნებულად დაყოვნებაში დაადანაშაულა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ჟურნალისტის მცდელობაზე „დანაშაულის დაფარვის“ ცრუ ვერსიებზე საუბრით და არასწორი ინფორმაციების გავრცელებით მოახდინოს საგამოძიებო უწყების დისკრედიტაცია.

საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური ყველა სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს შემჭიდროებულ ვადებში ატარებს, რის შემდეგაც მიიღება კანონით გათვალისწინებული ზომები“, – ნათქვამია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.



## უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამო დაკავებულია 14 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. უწყების ცნობით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 14 პირია დაკავებული.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 260-ე მუხლით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-იდან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# „დაისი“ 100 წლისაა



## საქართველოს ბულბულმა ვანო სარაჯიშვილმა ერთ სპექტაკლში სამჯერ იმღერა „თავო ჩემო“!..

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისის“ პრემიერიდან მე-100 წლისთავზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა „დაისის“ ახალი დადგმის პრემიერა წარადგინა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

მათივე ინფორმაციით, „დაისი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე 2009 წლიდან არ შესრულებულა. მისი დამდგმელი დირიჟორია რევაზ ტაკიძე, დამდგმელი რეჟისორი – გოჩა კაპანაძე, სცენოგრაფი, განათებისა და კოსტიუმების ავტორი – გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი – ილიკო სუხიშვილი, ვიდეოპროექციის ავტორი – დავით მაჭავარიანი.



საპრემიერო სპექტაკლებში მონაწილეობენ ოპერის თეატრის ყველა თაობის მომღერლები, საქართველოს სახალხო არტისტები, მოწვეული სოლისტები, გუნდი, ორკესტრი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

100 წლის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ კოტე მარჯანიშვილმა დადგა. სპექტაკლს დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილის ძმა ივანე ფალიაშვილი. მალხაზის პარტიას ასრულებდა დიდი ქართველი ტენორი ვანო სარაჯიშვილი, რომელსაც სპექტაკლის განმავლობაში მაყურებლის მოთხოვნით ზედიზედ სამჯერ მოუხდა მალხაზის არიის („თავო ჩემო“) შესრულება. ცეკვა „ქართული“ შეასრულა 16 წლის ილიკო სუხიშვილმა.

ოპერაზე მუშაობა კომპოზიტორმა 1921 წელს დაიწყო. „დაისის“ მთავარ გმირს სახელი ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს ანექსიის დროს თავდაცვით ბრძოლაში გმირულად დაღუპული მარო მაყაშვილის პატივსაცემად ჰქვია. „დაისის“ შექმნის იდეა ზაქარია ფალიაშვილს ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა და მსახიობმა ვალერიან გუნიამ მიაწოდა, რომელსაც ეკუთვნის ამ ოპერის ლიბრეტო. ვ. გუნიამ გამოიყენა შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია.

# „ერისიონის“ ახალი შოუ ჩვენი სავიზიტო ბარათია

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონის“ წარმომადგენლებს შეხვდა.**

მაია ომიაძე და ტუროპერატორები „ერისიონის“ განახლებულ პროგრამას გაეცნენ. ტუროპერატორებმა ანსამბლთან თანამშრომლობის, ტურის დაგეგმვისას ტურისტებისათვის კონცერტების შეთავაზების საკითხები განიხილეს. საქართველოს კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით ტუროპერატორები მოგზაურებს ფოლკლორულ ტურებს შესთავაზებენ.



**„ქართული ცეკვა და სიმღერა ნამდვილად არის ის განსაკუთრებული საგანძური რომელიც მსოფლიოში გამოგვარჩევს და ყველას აღფრთოვანებას იწვევს, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვენახა ახალი შოუ, რომელსაც „ერისიონი“ წარადგენს ფართო საზოგადოების წინაშე“,** – განაცხადა მაია ომიაძემ.

**„ჩვენმა სტუმრებმა „ერისიონის“ სრული პროგრამა იხილეს, რომელსაც მალე მაყურებლის წინაშე წარვადგენთ. ეს პროგრამა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავს. ნაჩვენები იყო საუკეთესო ნიმუშები, როგორც ქორეოგრაფიულ ნაწილში, ასევე გუნდის რეპერტუარში, ასევე საფერხულო ნომერი, რომელიც ჩვენი სავიზიტო ბარათია“,** – აცხადებს შერმადინ ჭკუასელი – „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

# ევროვიზია მეორედ მოიგო

**დიდ ბრიტანეთში მიმდინარე ფინალურ კონცერტზე ევროვიზია 2023-ის გამარჯვებული გამოვლინდა. გამარჯვებული ქვეყანა შვედეთი გახდა – Loreen სიმღერით Tattoo, რომელმაც, ჯამში, 583 ქულა მიიღო. შესაბამისად, მომავალი ევროვიზიის მასპინძელიც ეს ქვეყანა იქნება. აღსანიშნავია, რომ Loreen ევროვიზიის კონკურსის გამარჯვებული მეორედ გახდა. მან პირველი გამარჯვება ევროვიზიაზე 2012 წელს მოიპოვა.**



* * *

**რიგით 21-ე საბავშვო ევროვიზია კი საფრანგეთის ქალაქ ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება. საფრანგეთმა მასპინძლობის უფლება საბავშვო ევროვიზია 2022-ზე გამარჯვების შემდეგ მოიპოვა, რომელზეც ქვეყანა Lissandro-მ სიმღერით Oh Maman! წარადგინა. 2022 წლის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელი მარიამ ბიგვავა მესამე ადგილზე გავიდა. საბავშვო ევროვიზია 2023-ის სლოგანი იქნება „გმირები“. კონკურსი კი Palais Nikaца-ს დარბაზში გაიმართება. საბავშვო ევროვიზია 2023-ზე მონაწილეობა ამ დროისთვის 11 ქვეყანას აქვს დადასტურებული, მათ შორის საქართველოცაა. საქართველოს საბავშვო ევროვიზია 2023-ზე პროექტ „რანინას“ გამარჯვებული წარადგენს. საბავშვო ევროვიზიაზე საქართველო რეკორდსმენი ქვეყანაა გამარჯვებების მიხედვით. ჯამში, საქართველომ კონკურსზე სამი გამარჯვება მოიპოვა.**

# დე ნირო - შვიდგზის მამა



**ჰოლივუდის ვარსკვლავი რობერტ დე ნირო 79 წლის ასაკში მეშვიდე შვილის მამა გახდა. ამის შესახებ ცნობილმა მსახიობმა ET Canada-სთან ინტერვიუში განაცხადა.**

ინტერვიუს დროს, ჟურნალისტმა დე ნიროს შვილების შესახებ შეკითხვა ასე დაიწყო: **„ვიცი, რომ 6 შვილი გყავთ“, მსახიობმა კი გააწყვეტინა და უთხრა, რომ ცოტა ხნის წინ მეშვიდე შვილი შეეძინა.** მედიის ცნობით, მეშვიდე ბავშვის სქესი და ასევე დედის ვინაობა უცნობია.

# ბიონსეს შემოსავალი მილიარდობით გაიზრდება



**ბიონსეს „რენესანსის“ მსოფლიო ტურნემ შესაძლოა, მომღერალს $2 მილიარდზე მეტის გამომუშავების საშუალება მისცეს. ამას ბილეთების მყიდველი გულშემატკივრების დიდი რაოდენობა და მისი მაღალი საშუალო ფასი, დაახლოებით 700 დოლარი განაპირობებს.**

ცნობისთვის, ბიონსეს ბოლო ალბომის სახელწოდების მქონე „რენესანსის“ მსოფლიო ტურნე, ჯამში ათი ქალაქის კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტებს სტიპენდიებით უზრუნველყოფს. გასულ წელს გამოშვებული „რენესანსი“ მომღერლის რიგით მეშვიდე სტუდიური ალბომია. თებერვალში ბიონსე ყველაზე მეტი გრემის მფლობელი შემსრულებელი გახდა. გრემის 65-ე დაჯილდოებაზე მომღერალმა 32-ე გრემის მოპოვებით რეკორდი დაამყარა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 17 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5458; ევრო - 2.7805;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1998;
100 რუბლი - 3.3428; თურქული ლირა - 0.1273;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4975;
1000 სომხური დრამი - 6.5931

**ამინდი 15 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +15 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +16 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge